# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბრძოლის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 20 თებერვალი. 2016 წ. №33 (7925), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

## ③ თინა ხიდაშელის საიდუმლო აგენტი

## ვაიჟურნალისტების რეიტინგი, პოპულარობა და მორალი ⑤

## შეეცდებიან, 2008 წლის ომის შესახებ სიმართლე უმოსკოვოდ გაიგონ ⑧

⑩

## მზექალი მედეა – ჰელსინკის ტრიუმფატორი

## ჯანმრთელობას – ჯანმრთელი მიდგომა



⑨

ეს საყოველთაო საქმეა!

დღის ამოჩაზურიდან

## „რუსთავი-2“-ს ადვოკატიც კი საძაგლიშვილი ჰყოლია...

კვირის საკითხავი

## ბედი ქართველი კაცისა... დღემდე უცნობი პოეტისა...



შარშან, ოქტომბერში, ერთ-ერთ გაზეთში გამოვაქვეყნე ფართო საზოგადოებისთვის უცნობი, ნიჭიერი პროზაიკოსისა და პოეტის ანანია სალუქვაძის ერთი ლექსი. ჩემი სიყრმის მეგობარი მაშინ, 5 ოქტომბერს, 59 წლისა გახდებოდა, სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს გლდანის ციხის ჯოჯოხეთში რომ არ მოეკლა, რაც ტროცკისტებმა ზაზუას დააკლეს, ის ნეოტროცკისტმა ნაცებმა შვილიშვილს მოუთავეს – რითიც სალუქვაძეების სახელოვანი გვარის ამ შტოს მამაკაცური ხაზი დასრულდა. ⑦

## სიყვარულს რას გაუგებ?!



სტოკჰოლმის უპირველეს სასტუმრო „შერატონის“ ფეშენებელური რესტორანი შტრაუსის ვალსს დაეპყრო. გგონია მოცეკვავე წყვილები სადაცაა აფრინდებიან. ბროლის ჭაღების შუქში გახვეული ადამიანები თითქოს სადღაც მაღლა მიისწრაფვიან. როცა სისხლში სასმელი და მუსიკის რიტმი უხვადაა, თან ლამაზი ქალბატონი გახლავს და მაცდურად გიღიმის, სულში მხოლოდ სიყვარული მეფობს და სადღაც მაღლა გეწევა. მეშვიდე თუ მეცხრე ცაც აქვეა, ერთი ხელის გაწვდენაზე...

⑥ გთავაზობთ ცნობილი მწერლისა და ჟურნალისტის გივი ჯახუას ახალ ნოველას.

## პრემიერი „ფრონტერასთან“ ურთიერთობას აბვარებს

**საძართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი „ფრონტერას“ აღმასრულებელ დირექტორს სტივ ნიკანდროსს შეხვდა. პრემიერის**

**ადმინისტრაციის ინფორმაციით, საუბრის მთავარი თემები კომპანიის საქართველოში მუშაობის პერსპექტივები და თანამშრომლობის შემდგომი ნაბიჯები იყო.**

შეხვედრაზე განიხილეს, რა შეიძლება გააკეთოს დამატებით საქართველოს მთავრობამ, კომპანიის სამომავლო საქმიანობის ხელშეწყობად. ასევე, დაიგეგმა სამუშაო შეხვედრა „ფრონტერასთან“ ენერგეტიკის სამინისტროს მონაწილეობით.

საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და „ფრონტერას“ აღმასრულებელი დირექტორის შეხვედრა მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

## თავდაცვის მინისტრის მიმართ ბრალდებები მიუღებელია და ჩირქს სცხებს მთლიანად მთავრობას

**გიორგი კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ გუნდში არსებული კითხვები სხვა ფორმატში უნდა განიხილებოდეს.**

„მინდა, მოვუწოდო ჩვენს თანაგუნდელებს, ასეთი საკითხები, თუ მათ აქვთ შეკითხვები, ალბათ, სხვა წესით და სხვა ფორმატში უნდა განიხილებოდეს. ჩვენი ერთიანობა არის ძალიან მნიშვნელოვანი. საუბარია არა მხოლოდ ჩვენს კოალიციაზე, არამედ მზად ვართ, კარი გავუღოთ ყველა ადამიანს, ვინც ჩვენთან ერთად აიღებს ტვირთს, რომელიც არ არის მსუბუქი და იმ პრინციპებით და იმ ხედვით ემსახურება ქვეყანას, რომლითაც ჩვენ მივდივართ წინ. არათუ იმაზე ვიფიქროთ, რომ დავიშალოთ და სალაპარაკო მივცეთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს ნამდვილად უხარიათ“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

## თოფაძე საუბრობდა ერთ პიროვნებაზე და არა კოალიციაზე

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზურაბ ტყემალაძე გოგი თოფაძის განცხადებებზე პრემიერ-მინისტრის პოზიციას არ ეთანხმება. გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ თოფაძის მიერ თავდაცვის მინისტრზე გაკეთებული განცხადება „ჩირქს სცხებს ქვეყანას და მთელ მთავრობას“.**

„ნამდვილად არ ვიზიარებ მთავრობის მეთაურის ამ პოზიციას. მან დააფიქსირა ის, რომ ეს არის დამაზიანებელი მთელი კოალიციისთვის. კოალიციაზე არ უსაუბრია გოგი თოფაძეს, საუბარი მიმართული იყო ერთი პიროვნების მიმართ“, —თქვა ჟურნალისტებთან საუბარში ზურაბ ტყემალაძემ.

აჟიოტაჟი მოჰყვა იმ ფაქტს, როდესაც გოგი თოფაძემ თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი საგარეჯოს არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა.

## კონფლიქტების მოგვარების ერთადერთი გზა მათი მშვიდობიანი გადაწყვეტაა

**კონფლიქტების მოგვარების ერთადერთი გზა მათი მშვიდობიანი გადაწყვეტაა, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გუშინ თურქ და აზერბაიჯანელ კოლეგებთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

„სწორედ ეს პოზიცია ავსახეთ სამი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიღებულ დეკლარაციაში. ჩვენ ვითანამშრომლებთ, რომ შევძლოთ ამ საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა“, — განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუს განცხადებით, ის არ აღიარებს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას.

მან ყარაბაღის კონფლიქტსაც გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ თურქეთი აღიარებს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას. მისი თქმით, ოფიციალური ანკარა მიიჩნევს, რომ სომხურმა სამხედრო ძალებმა ყარაბაღის ტერიტორია უნდა დატოვონ.

## ცვლილებები პროკურატურაში

**პროკურატურაში საკადრო ცვლილებებია. გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობები დატოვეს სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორმა გიზო უბილავამ და ფოთის პროკურორმა ალექსანდრე გოგუაძემ.**

სამეგრელო-ზემო სვანეთის ოლქის პროკურორის თანამდებობაზე, სავარაუდოდ, ილია ჯალაღანიას კანდიდატურა განიხილება. ფოთის პროკურატურას კი სავარაუდოდ, გიორგი კოკაია უხელმძღვანელებს.

გავრცელებული ინფორმაციით გიზო უბილავა საქმიანობას გლდანი-ნაძალადევის პროკურატურაში გააგრძელებს. პროკურატურაში აცხადებენ, რომ ეს შიდა საკადრო გადაადგილებებია და სახლში არც ერთი პროკურორი არ გაუშვიათ. დაუდასტურებელი ინფორმაციით, საკადრო ცვლილებები შეეხოთ სხვა ოლქის პროკურორებსაც.

## გაზს მისგან მივიღებთ, ვინც უკეთეს პირობებს დააყენებს

**ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ირაკლი ხმალაძის განმარტებით, „გაზპრომსა“ და „სოკართან“ მიმდინარე მოლაპარაკებებში ქართული მხარე არჩევანს იმის სასარგებლოდ გააკეთებს, ვისაც უკეთესი პირობა ექნება.**

ამის შესახებ ხმალაძემ ჟურნალისტებს იმ კითხვის საპასუხოდ განუცხადა, თუ რატომ გრძელდება „გაზპრომის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები მაშინ, როდესაც „სოკარმა“ საქართველოსთვის დამატებითი მოცულობით გაზის მიწოდების მზადყოფნა გამოთქვა.

ხმალაძის თქმით, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში ხდება, დღევანდელი შეხვედრის შემდეგაც მინისტრი მედიას დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის.

„მოლაპარაკებების მიზანი არის ქვეყნისთვის უფრო უკეთესი პირობების მიღება. როდის დასრულდება მოლაპარაკებები, ამის თქმა არ შემიძლია, თუმცა, ეს უახლოეს მომავალში მოხდება. ამიტომაც მიმდინარეობს ორივე მხარესთან მოლაპარაკებები, რომ გამოვიდეს უკეთესი პირობა. რომელიც იქნება უკეთესი, იმ პირობას მიიღებს სახელმწიფო“, — განაცხადა ხმალაძემ.

## სასამართლო გადაწყვეტილებით გადაბაძე უკმაყოფილოა

**მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის განჩინების მიხედვით, „მაესტროს“ კრედიტორთა კრება ლევან გაჩეჩილაძის დირექტორად დარეგისტრირებამდე არ გაიმართება.**

ბაია გადაბაძისა და მაკა ასათიანის მხარე ითხოვდა, რომ კრება ჩატარებულიყო ბაია გადაბაძის დირექტორობის პირობებში. კრება მოსამართლის გადაწყვეტილებით, 15 მარტს ჩატარდება.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას ტელეკომპანიის მოქმედი გენდირექტორი უარყოფითად აფასებს.

**◎ წერენ და კითხულობენ, საქმეს კი არ აკეთებენ!**

## ელისო ჩაფიძე თანაგუნდელებს ღია წერილით მიმართავს

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო ჩაფიძე საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს, საქართველოს ფინანსთა მინისტრს, ბატონ ნოდარ ხადურს და საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს, ბატონ გია ვოლსკის ღია წერილით მიმართავს.** დეპუტატი ხელისუფლების წარმომადგენლებს 2012 წლის დაპირებებს ახსენებს და მოუწოდებს შეხვდნენ მეშახტეებს და მოახდინონ სათანადო რეაგირება მათ პრობლემებზე.

**„მოგეხსენებათ, რა მძიმე ვითარებაა შექმნილი ტყიბულის მაღაროებში როგორც შრომითი პირობების, ასევე ანაზღაურების კუთხით. ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონის ამოქმედებამ. საქმე ის გახლავთ, რომ კანონის 1999 წლის რედაქციით ტყიბულის რაიონი და მისი 14 სოფელი მიეკუთვნებოდა მაღალმთიან ზონას, 2016 წლის 1 იანვრიდან კი აღარ მიეკუთვნება. შესაბამისად, ცვლილებები შევიდა საგადასახადო კოდექსის 83-ე მუხლში და მეშახტეები იანვრიდან იბეგრებიან ჩვეულებრივი წესით ანუ ხელფასის 20 პროცენტით.**

**შეგახსენებთ, რომ ტყიბულის რაიონის მცხოვრებთა და მეშახტეების შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო. ვთვლი, რომ დაპირებული საკითხებიდან ბევრი რამ განხორციელდა. ესაა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, განათლების რეფორმა, რეგრესისა და მარჩენალდაკარგულთა პენსიების აღდგენა. გთხოვთ, აღნიშნულ საკითხებზე მიიღოთ პოლიტიკური გადაწყვეტილება. კანონის მუხლობრივ ფორმულირებას ძალიან მარტივად შემოგთავაზებთ და იმის თქმა, რომ თითქოს პრობლემა წერილებშია, წარმოადგენს იაფფასიან პოლიტიკურ ხრიკს საკითხის გადაწყვეტის გასაჭიანურებლად. მეჩვენება, რომ ამ ინიციატივებს იგივე ბედი ელით, რაც მეშახტეთა საპენსიო ასაკის შემცირების მოთხოვნას, რაზეც საკითხი დავაყენეთ 2013 წელს და დღემდე ველით პასუხს...**

**კიდევ ერთხელ მივმართავ ბატონებს: ვოლსკის, ჩემი ფრაქციის თამჯდომარეს, კანონპროექტის ავტორებს: ირაკლი ტრიპოლსკისა და გიორგი ჟორჟოლიანს, რომელიც ჩემთან ერთად იმყოფებოდა 2012 წლის გაფიცვების დროს ტყიბულში, დაპირდა ტყიბულელ მეშახტეებს საკითხის შესწავლას, რეაგირებას და გახდა ამ მიზნით შექმნილი სახელმწიფო კომისიის წევრი, წამოვიდნენ ჩემთან ერთად ქალაქ ტყიბულში, შეხვდნენ გაფიცულ მეშახტეებს და აუხსნან საკუთარი გადაწყვეტილებების მოტივაცია“,** — ნათქვამია წერილში.

* * *

ელისო ჩაფიძის ეს წერილი ნათელი დასტურია იმისა, რომ ქართული პარლამენტი ჩვეულებრივი სალაყბოა. წერენ, კითხულობენ, კამათობენ, „ცარიელ“ კანონებს იღებენ, კონკრეტულ საქმეს კი არ და ვერ აკეთებენ!..

## საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი თურქეთია

**საქსტატის მონაცემებით, 2016 წლის იანვარში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი (83 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (54 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (53 მლნ. აშშ დოლარი).**

საქსტატის მონცემებით, იანვარში საგარეო სავაჭრო ბრუნვა შემცირდა. უწყების ცნობით, 2016 წლის იანვარში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 528 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 24 პროცენტით ნაკლებია; აქედან ექსპორტი 122 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (22 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 405 მლნ. აშშ დოლარს (25 პროცენტით ნაკლები).

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2016 წლის იანვარში 166 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2015 წელთან შედარებით 19 პროცენტით ნაკლები).

აქედან ექსპორტი 30 მლნ. აშშ დოლარი (46 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 137 მლნ. აშშ დოლარი იყო (9 პროცენტით ნაკლები). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 32 პროცენტი იყო, მათ შორის, ექსპორტში 24 პროცენტი და იმპორტში 34 პროცენტი (2015 წლის იანვარში შესაბამისად 30, 35 და 28 პროცენტი). 2016 წლის იანვარში დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 38 პროცენტი (2015 წლის იანვარში 25 პროცენტი).

# „აწარმოე საქართველოში“ – სესხის მოცულობის მინიმალურ ზღვარს ამცირებს

**სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში საწარმოების შესაქმნელად, კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხის მინიმალური მოცულობა 150 000 ლარითა (ნაცვლად 250 000 ლარისა) და 75 000 დოლარით (ნაცვლად 150 000 დოლარისა) იქნება განსაზღვრული.** ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა. მისი განმარტებით, „აწარმოე საქართველოში“ მიმდინარეობისას პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებებითა და მეწარმეების კიდევ უფრო მეტი ხელშეწყობის მიზნით, იცვლება და უმჯობესდება პროგრამის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება.

**„სახელმწიფო პროგრამაში შესწორებები შედის. ჩვენ გავითვალისწინეთ უფრო მცირე საწარმოების ინტერესები და დაბლა ვწევთ დასაფინანსებელი საწარმოების ზღვარს“,** – აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, სასტუმროების აშენება/გაფართოების პროგრამის ფარგლებში, ასევე შესაძლებელი გახდება სესხების გაცემა არა მარტო ლარში, არამედ უცხოურ ვალუტაში.

# ნარმანია აბოზოქრდა

**დედაქალაქის მერიაში არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაცია დაიწყო. შესაბამისი განკარგულება თბილისის მერიის მთავრობის წევრებს დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ წარუდგინა.**

ნარმანია მოითხოვს, რომ რეორგანიზაცია ერთ თვეში დასრულდეს, რის შემდეგაც თბილისის მოსახლეობასა თუ ცალკეულ კომპანიებს საკუთარი საქმიანების ეფექტურად წარმართვა უნდა შეეძლოთ.

**ნარმანიას განცხადებით, მის მიზანია, დაიწყოს დედაქალაქის იერსახის გაუმჯობესება და თითოეული მშენებლობა თბილისის განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით წარიმართოს. როგორც „ჯიეიჩ-ენისთვის“ გახდა ცნობილი, დავით ნარმანია საქალაქო სამსახურების მუშაობით უკმაყოფილია.**

არქიტექტურის სამსახურის მიმართ ნარმანიას უკმაყოფილებას არა მხოლოდ ნებართვებთან დაკავშირებული ხელოვნური ბიუროკრატიული მექანიზმები, არამედ კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღები ვადები განაპირობებს.

**ცნობილი გახდა, რომ ნარმანიას სამსახურის არაეფექტური საქმიანობის არაერთი დოკუმენტი და ფაქტი წარუდგინეს. არქიტექტურის სამსახურში წმენდის შედეგად სავარაუდოდ, კადრების ნახევარზე მეტს მოუწევს სამუშაო ადგილების დატოვება და ნარმანიას მოთხოვნით, მათ ნაცვლად სამსახურში ეფექტურ და მოტივირებულ კადრებს მიიყვანენ.**

ასევე ცნობილი ხდება, რომ დედაქალაქის მერს გადაწყვეტილი აქვს კოალიციის წევრების მიერ მერიაში სამუშაოდ „მივლინებული“ კადრების სახლებში გაშვება. შიდა მონიტორინგით ნარმანიამ გაარკვია, რომ ბევრი მათგანი შორს არის პროფესიონალისზმისგან და დაკისრებულ მოვალეობასაც ვერ ასრულებენ.

**დედაქალაქის მერი ასევე გეგმავს ზედამხედველობისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიმართ მოთხოვნების გამკაცრებასა და თუ სამსახურები უახლოეს დღეებში ვერ შეძლებენ მათზე დაკისრებული მოვალეობების ეფექტურად შესრულებას, სავარაუდოდ, ამ სამსახურების ბევრ თანამშრომელსაც მოუწევს სამსახურის დატოვება.** ნარმანია არც ქალაქის გამგეობების საქმიანობით არის კმაყოფილი და სავარაუდოდ, ამ მიმართულებითაც მოსალოდნელია ცვლილებები.

# მისამართების შეცვლა და დაზუსტება უფასოდ

**იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მოქალაქეებს მისამართების ცვლილებასთან დაკავშირებით უფასო სერვისებს სთავაზობს. აღნიშნული მომსახურებები ვრცელდება პირებზე, რომლებსაც უძრავი ნივთის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტში მისამართი არასრულად ან არასწორად აქვთ მითითებული. ასევე, უფასო სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ალოგიკური, არასწორი ან დუბლირებული მისამართისა და ნომრების გამო, ბინისთვის, შენობა-ნაგებობის ან მიწის ნაკვეთისთვის ახალი ნომრის მინიჭება სჭირდებათ.**

საჯარო რეესტრის სააგენტოს ცნობით, **მისამართების კორექტირებას და მინიჭებას ექვემდებარება ნუმერაციის არმქონე, გამოტოვებული ან გამეორებული მისამართები, ე.წ. „იტალიური ეზოები“ და ასევე ისინი, რომლებსაც მისამართად მითითებული აქვთ რაიმე გეოგრაფიული ობიექტი (მაგ: მიმდებარედ, შორის, გასწვრივ, მოპირდაპირედ და ა.შ).**

აღსანიშნავია, რომ **არარსებული, გამოტოვებული ან განმეორებული მისამართები გაუგებრობისა და დავის საგანი ხშირად გამხდარა. უფასო სერვისებიც სწორედ სამისამართო რეესტრის მოწესრიგებასა და ზუსტი მონაცემთა ბაზის შექმნას უწყობს ხელს. დამისამართების პროექტის წარმატებით განხორციელების შემდეგ მოქალაქეებს უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცედურები მნიშვნელოვნად გაუმარტივდებათ, დასახლებულ პუნქტებში უსახელო გზები და ქუჩები აღარ იარსებებს, ხოლო კონკრეტული მისამართები მარტივად მისაგნები იქნება.**

◎ კვლავ პანკისთან დაკავშირებით...

# თინა ხიდაშელის საიდუმლო აგენტი

**სტალინს ჰყავდა შტირლიცი. თინა ხიდაშელსაც ჰყავს შტირლიცი! საქართველოს თავდაცვის უწყების შეფის ეს საიდუმლო მაუწყებელი მოკალათებული იყო რუსი მინისტრის ლავროვის გარემოცვაში და, როგორც ჩანს, მოდის და მოდის იქიდან უსაიდუმლოესი ინფორმაცია. საქართველოს სამინისტროს მშიფრავებმა აღარ იციან, რა ქნან. მათ სამუშაო თავზე საყრელი აქვთ. ვერ მოასწრებს ლავროვი, რომ ჩაიფიქროს რამე, ინფორმაცია ამის შესახებ კი უკვე გაშიფრული სახით საქართველოს თავდაცვის მინისტრის მაგიდაზეა. ერთი სიტყვით, საქმე კონვეიერზეა.**

**„იმის შესახებ, რომ სერგეი ლავროვი აპირებს, გააკეთოს განცხადება პანკისთან დაკავშირებით, ინფორმაცია ჩვენთან გაჩნდა გაცილებით ადრე (გინდა წამოიყვირო: „უჰ, შენი!“ – ვ.ბ.), ვიდრე ეს იქნებოდა გახმიანებული“,** – ამაყად აცნობა ქალბატონმა ხიდაშელმა ადგილობრივ გაზეთ „ვერსიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში. – სწორედ ამიტომ ლავროვის განცხადებამდე რამდენიმე კვირით ადრე ქართველ ჟურნალისტებს მიეცათ შესაძლებლობა, დეტალურად მოენახულებინათ პანკისის ხეობა და ესაუბრათ ადგილობრივ მცხოვრებლებთან.

„ჩვენ გავფრინდით პანკისში შვეულმფრენით ჟურნალისტებთან ერთად. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, დაეთვალიერებინათ ხეობა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები დაჰყავდათ სოფლიდან სოფელში, ჩვენ მათ არანაირ მითითებას არ ვაძლევდით. მათ მუშაობისთვის სრული თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული. ყველამ დაინახა, რომ იქ არაფერი ამგვარი არ ხდება“, – გვაცნობა თინა ხიდაშელმა.

მაგრამ ჩნდება შეკითხვა: თუ ჟურნალისტები წაიყვანეს პანკისში ლავროვის განცხადებამდე რამდენიმე კვირით ადრე, ამ შემთხვევაში რას ეძებდნენ ისინი იქ? რას უნდა მივაწეროთ ქალბატონი მინისტრის ფრაზა: „იქ არაფერი ამგვარი არ ხდება“? რა არ ხდება?! ჰო, მართლა, არაფერი ამგვარი! გამოდის, როგორც საბავშვო ზღაპარში: „წადი იქ – არ ვიცი სად, უარყავი ის – არ ვიცი რა“.

თუმცა, წავიწიოთ წინ. **„ხალხი იქაც თავის საყოფაცხოვრებო პრობლემებზე ლაპარაკობს: „გზის, სკოლის აღდგენის შესახებ, – განაგრძობს ამ დროს თინა ხიდაშელი ინტერვიუს მიცემას. – ჩვენ ვნახეთ გოგონები, რომლებსაც აქვთ ქეჩის საამქრო. ჩვენ ვუჩვენეთ სიტუაცია მანამ, სანამ წარმოისახებოდა (რასაკვირველია, სერგეი ლავროვის მიერ! – ვ.ბ.) აპოკალიფსი – თითქოს პანკისში არის ისლამური სახელმწიფოს საწვრთნელი ბანაკი“.**

აი, როგორი ენერგიული რეაქცია მოჰყვა ჯერ კიდევ გაუკეთებელ განცხადებას მოსკოვიდან! საამაყოა, ვერაფერს იტყვი. ქართველი საზოგადოებრიობის სურვილს ასევე ოპერატიულად რომ გამოხმაურებოდნენ ჩვენი მინისტრები, ეს დაუფასებელი იქნებოდა. მაგრამ, ვაი – რომ...

**„ჩვენ არ ვაპირებთ დავუმტკიცოთ ვინმეს რაიმე, მით უმეტეს, რომ თავი ვიმართლოთ. ჩვენი პასუხი მარტივია – აი ის, პანკისის ხეობა! ვისაც აინტერესებს, თავად ნახოს, თუ რა ხდება იქ“,** – ამბობს თინა ხიდაშელი.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა მოსკოვში პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ისლამური სახელმწიფოს ბოევიკები ხშირად ჩადიან პანკისის ხეობაში, **„ვრცელდება ინფორმაცია, რომ ისლამური სახელმწიფოს წევრები ამ ძნელადმისაღწევ ტერიტორიას იყენებენ ვარჯიშისთვის, დასვენებისა და მარაგის ასაღებად“,** – თქვა ლავროვმა.

როგორც ვხედავთ, ამ განცხადების შინაარსი მოულოდნელი არ ყოფილა თინა ხიდაშელის უწყებისათვის, და მასზე სათანადო რეაგირება მოახდინეს... საიდუმლო აგენტურა მოქმედებს. განა ტყუილადაა ნათქვამი: „ვისაც აფრთხილებენ – ის შეიარაღებულია!“

**ვლადიმერ ანთიძე**

◎ მშენებლობა

# K2 -ის წესი ისევ იცვლება, რას მოუტანს ის მშენებლებს?

**დედაქალაქში მშენებლობასთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებებია. საქმე ეხება სამშენებლო სექტორში არსებული ქაოსის თანდათანობით მოწესრიგებას. ამიტომ, უწინარესად, ე.წ. K2 -ის კოეფიციენტების მატებასთან დაკავშირებით დროებითი შეზღუდვა დაწესდება.**

დედაქალაქის მერის დავით ნარმანიას განაცხადებით, ამ ეტაპზე საყურადღებოა განაშენიანების რეგულირების წესებში დაგეგმილი ცვლილებები, რომელთა ახალი რედაქცია, ამ ეტაპზე რომ დამუშავდება, უახლოეს მომავალში საკრებულოს წარედგინება.



ერთ-ერთი მთავარი ცვლილება K2 კოეფიციენტის მომატებასთან დაკავშირებით დროებით შეზღუდვებს შეეხება, კერძოდ, ქალაქის ქაოსური განაშენიანების თავიდან აცილების მიზნით, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობის დასრულებამდე, დაწესდება დროებითი შეზღუდვა კოეფიციენტების მატებასთან დაკავშირებით და K2 კოეფიციენტის მომატება, საკრებულოს მიერ დამტკიცების შემდეგ, მხოლოდ ერთჯერადად იქნება შესაძლებელი.

ამასთან, კოეფიციენტის მატებაზე გამკაცრდება გამონაკლისის დაშვების დასაბუთების წესიც, რაც შეამცირებს K2 კოეფიციენტის მომატებაზე ნებართვების გაცემის ინტენსივობას და დედაქალაქის მთავრობას თბილისში ქაოსური მშენებლობების მოწესრიგების შესაძლებლობას მისცემს.

გაიზრდება მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტიც და K3 10%-ის ნაცვლად, 20%-ით განისაზღვრება. ეს კი ხელს შეუწყობს ქალაქში კიდევ უფრო მეტი მწვანე სივრცის გაჩენას.

პარალელურად დედაქალაქის მერი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს შეეხო, რომელიც გზების შეკეთებას უკავშირდება.

**„ამინდების გაუმჯობესებასთან ერთად დედაქალაქის გზებზე ორმოების შეკეთება აქტიურ ფაზაში შედის. დღეის მდგომარეობით, დაახლოებით, 50-მდე ქუჩაზე სარემონტო სამუშაოები დასრულებულია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კიდევ 15-მდე ქუჩის შეკეთება და უახლოეს დღეებში სამუშაოები დაიწყება დამატებით 25 ობიექტზე“,** – განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

რაც შეეხება K2-ს და მის მოსაკრებელს, ეს ის კოეფიციენტია, რომელიც კონკრეტულ კვადრატულ მეტრზე, ანუ კონკრეტულ მიწის ფართზე ასაშენებელი ობიექტის სიდიდეს განსაზღვრავს. თუ, მაგალითად, მშენებელი 1000 კვ/მ-ს ფლობს და იმ ტერიტორიაზე K2 -ის კოეფიციენტი 4-ია, ეს ნიშნავს, რომ ასაშენებელი ობიექტის საერთო ფართი 4-ჯერ მეტი, ანუ 4000 კვ/მ უნდა იყოს.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც სამშენებლო სექტორს გაუჭირდა, თბილისის მაშინდელმა მერმა გიგი უგულავამ შეჩერებულ მშენებლობებზე სართულების დამატების გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა, სართულების დამატება ფასიანი იყო და მშენებელი ამ კოეფიციენტს ყიდულობდა. თუ კონკრეტულ ტერიტორიაზე K2-ის კოეფიციენტი 4 იყო, გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ, K2-ს 6-მდე გაუზრდიდნენ, შედეგად, სამშენებლო კომპანია თავის ობიექტს რამდენიმე სართულს დაუმატებდა. სამშენებლო კომპანიების ნაწილმა თბილისის მერიის მაშინდელი გადაწყვეტილება გამოიყენა და საკუთარ ობიექტებს სართულები დააშენა, მაგრამ მოსაკრებლის გადახდა გაუჭირდა და დავალიანების სახით დაუგროვდა.

რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, სამშენებლო ობიექტები, რომელთა მშენებლობა 2008 წლის აგვისტომდე დაიწყო და დღემდე არ დასრულებულა, დამატებითი ღირებულების გადასახადისა (დღგ) და K2 მოსაკრებლისგან გათავისუფლდა. ახლა კი მერიამ K2-ის კოეფიციენტზე თბილისში დროებითი შეზღუდვა დააწესა.

**ბექა დანელია**

# სიმდიდრეს, რომელიც წყალმა უნდა მოგვიტანოს, წყალსვე ნუ ვატანთ!




მე ზემოთ აღვნიშნე, რომ ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და დარგობრივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას სჭირდება ფული, ჩვენ არც ერთ შემთხვევაში არ ვეწინააღმდეგებით ინვესტიციების შემოდინებას ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ამით ჩვენ ხელს ვუწყობთ მხოლოდ უცხო კაპიტალის მფლობელთა მცირე ჯგუფების გამდიდრებას, ეს კი ეროვნული ეკონომიკის განვითარებას არაფერში არ წაადგება და ჩვენი ხალხი სამუდამოდ უქონელ-უპოვარი დარჩება! **„სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგები არის ერის ეროვნული სიმდიდრე და იგი უნდა მოხმარდეს ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობას“** შორეულ პერსპექტივაში მომავალი თაობების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ხელისუფლების წარმომადგენლებს მოვუწოდებ, თუ ქვეყნის გადარჩენა გინდათ, თუ სურვილი გაგაჩნიათ იმისა, რომ ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ შვებით ამოისუნთქოს და ღირსეულად იცხოვროს საკუთარ მიწაზე, კიდევ ერთხელ ჩაუღრმავდით და გაიაზრეთ გონებაში თუ რა ეკონომიკური სასწაულის მოხდენაა შესაძლებელი ჩვენს მიერ წარმოდგენილი კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენების გზით ფინანსურ „ტრანზაქციულ“ მოდელში და მსოფლიო უმაღლესი კლასის საბანკო გარანტიების აქტივების სახით უზრუნველყოფაში.

ყოველივე ამის განხორციელების რეალურ შესაძლებლობაში დაგვარწმუნა ჩვენივე ავტორობით შექმნილმა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია-პროგრამის შესაბამისად შემუშავებულმა ბიზნესგეგმის ფინანსური ნაკადების მოძრაობის 12-წლიანმა გათვლებმა და მართლაც მივიღეთ **„ქართული ეკონომიკური სასწაული“,** რომლის განხორციელებაც გარდაუვალი და რეალურია.

ბიზნესგეგმას შევურჩიე საინტერესო სახელწოდება „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუცია“, რომლის შესამუშავებლად ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებაში ჩადებული იყო 3 მილიონი აშშ დოლარი, მაგრამ მაშინდელი საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელის, ეკონომიკურ-ფინანსურ დარგში დიდი სპეციალისტის, ბატონი **ირაკლი კოვზანაძის,** მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, ბატონი **ოთარ კვესიტაძისა** და აკადემიკოს **ელიზბარ ჯაველიძის** სამართლიანი მოთხოვნითა და აკადემიკოს **ოთარ ნათიშვილის** თანადგომით, ფინანსურ საკითხებში ექსპერტ **ლევან ბუაძის,** ტექნიკურ-ეკონომიკურ საკითხებში ექსპერტ **ზაზა გელაშვილის,** გენერალური დირექტორის **დიმიტრი ნიკოლაძის,** თანაავტორი პროფესორების: **ზაურ ციხელაშვილის, ნოდარ ჩხეიძის, ალექსანდრე (ალეკო) ჩხეიძის, ირაკლი როდონაიას, ზურაბ გასიტაშვილის, სულიკო დარსაველიძის, კახაბერ ჭეიშვილის, გურამ სოსელიას, ილია ჩხიკვაძის, ირაკლი მიქელაძის, გიგა ბათიაშვილის, მერაბ ჩხენკელის, ლალი ღოღელიანის, მზია ზაკუტაშვილის, ციალა ბექურაიძის, იოსებ ბუაჩიძის, გია ლობჟანიძის,** ასევე გამოჩენილი ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწეების: **ენვერ ნიჟარაძის, გურამ საღარაძის, შალვა ნეფარიძის, ლევან ჩაჩუას, ტატო ლასხიშვილის, ვაჟა გავაშელის, სლავა შკრიაბაის, ჯემალ დავლიანიძის ვალერი გაბელიას** და ექსპერტების **გია კალაძის, გელა ბაბაკაშვილის** მუხლჩაუხრელი 3-თვიანი შრომით შეიქმნა „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუციის“ ბიზნესგეგმა, ფულადი ნაკადების მოძრაობამ თვალნათლივ დაგვანახვა დაბანდებული კაპიტალის უკუგების ძალზედ ხანმოკლე პერიოდი, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და ხალხის დასაქმების პერსპექტივები სოლიდური სახელფასო ანაზღაურებით. ყოველივე ეს იძლევა სრულ გარანტიას ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მისაღწევად, ასევე ზემოთ ჩამოთვლილი, დარგობრივი ეკონომიკური პროექტების: მეცნიერებისა და განათლების, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, სატყეო მეურნეობის, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და ურბანისტიკისათვის საჭირო გრძელვადიანი, მცირეპროცენტიანი ფულადი რესურსების მოსაზიდად.

თუ დროულად იქნა დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული, ქვეყანა სწრაფად გადალახავს ეკონომიკურ კრიზისს და ვიცხოვრებთ ერთიან, ძლიერ, განვითარებულ, ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოში, მშვიდობიანი რეგიონალური ეკონომიკური სივრცით, **უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყნის შვილები, გაცილებით უფრო მდიდრები, ვიდრე გაზისა და ნავთობის მფლობელი ქვეყნებია და ასეთი სიღატაკის ზღვარს მიღმა არ უნდა ცხოვრობდეს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი.** ველური საბანკო ეკონომიკური პრინციპების დღემდე ჩამოყალიბებულ პარადიგმებს უნდა ვებრძოლოთ სახელმწიფო მართვის ახალი სისტემური მიდგომებით, ასე რომ შემთხვევითი არაა ჩემს შრომებში აქცენტები გამახვილებული სახელმწიფოს მხრიდან მეცნიერებისა და განათლების განვითარების ხელშემწყობ უპირველეს პირობების შექმნაზე.

დამაფიქრებელი და ძალზედ სავალალოა ის, რაც მოხდა ლომაია–ხუბუას ტანდემით თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხდომათა ყარბაზში გამოამწყვდიეს ღვაწლმოსილი პედაგოგ-მეცნიერები და მეორე დღეს 2800 თანამშრომელი განდევნეს დედაუნივერსიტეტიდან. ზოგი ნერვიულობას გადაჰყვა, ზოგიც დღემდე დეპრესიაშია ჩავარდნილი და სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი წამყვანი ბანკის მესვეურთა მსგავსად, საკუთარი სახლის კედლებიდან უმოწყალოდ გამოყარეს დამსახურებული მეცნიერები და დღემდეც სამართლიანობის აღდგენის პროცესს ელოდებიან. რა თქმა უნდა, ამის ჩამდენი და ხელშემწყობი კაცი, მაშინდელმა ნაციონალებმა არ ვიცი, რის საფასურად ჩაითრიეს იმ სამარცხვინო პროცესში. მე შეგნებულად არ ვასახელებ მის ვინაობას. საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა კარგად იცის თუ ვინ, როგორ იცავდა სასამართლო სხდომებზე უსულგულოდ გაყრილ-განდევნილ მეცნიერ-თანამშრომლების ღირსების საკითხს იმ ავადსახსენებელ წლებში.

ეს არ გააკეთა დიდი მეცნიერის, ივერი ფრანგიშვილის შვილმა, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა **არჩილ ფრანგიშვილმა,** მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან უდიდესი ზეწოლის მიუხედავად, თავის გუნდთან ერთად ვიცე-რექტორ, პროფესორ **ლევან კლიმიაშვილის,** რექტორის მოადგილეების **თამაზ ბაციკაძის,** პროფესორ **ზურაბ გასიტაშვილისა** და **ქეთი ქოქრაშვილის** თანადგომით, შეძლო, გადაერჩინა ტექნიკური უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი მეცნიერ-პედაგოგები დაგეგმილი დევნისა და უმუშევრობისაგან.

ის, რაც იმ ავადსახსენებელ წინა ხელისუფლების დროს მოხდა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საკუთარი სიცოცხლის ფასადაც არც ერთ შემთხვევაში არ გააკეთებ და აკადემიკოსი **როინ მეტრეველი,** რომლის დროსაც დედაუნივერსიტეტის არც ერთი გოჯი მიწა და მატერიალური საკუთრება არ გაყიდულა და მან 90-იანი წლების ძნელბედობის ჟამთა სვლის მიუხედავად შეძლო, გადაერჩინა მომავალი თაობების კუთვნილი ფასეულობები და მატერიალური საკუთრება.

ის, რაც ხდება დღევანდელ ილიაუნიში და სხვა უნივერსიტეტებში, ეს ყოველივე ჩვენი შეჭირვებული ცხოვრებითაა განპირობებული. ყველა მტერი და მტარვალი ამ უნივერსიტეტების კედლებში პოულობს დედისა და ქვეყნის, ჩვენი სარწმუნოებისა და ეკლესიის მლანძღველ-მაგინებლებს და ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ შეიქმნა, სადაც „შუშანიკის წამება“ დაიწერა, სადაც აბო თბილელმა წმინდა ხატს ფეხი არ დააბიჯა.

საქართველო აუცილებლად გაბრწყინდება. თქვენი მომავალი თქვენვე გეკუთვნით, ჩემო თანამემამულენო, ვიბრძოლოთ ერთად ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ და ჩვენივე თვითმყოფადობის გადასარჩენად.

მეტად მნიშვნელოვანია აღვნიშნო ის ფაქტობრივი გარემოება, რომელმაც ჩემში და მეცნიერთა დიდ ჯგუფში გამოიწვია ეკონომიკის მინისტრის, ბატონი **დიმიტრი ქუმსიშვილის** საკოორდინაციო საბჭოში საქმიანი ურთიერთობისას გამოვლენილი მაღალი პროფესიული თვისებებისა და უდიდესი პრაქტიკული ცოდნის თაობაზე. მე პირადად განცვიფრებული დავრჩი ჩვენი საუბრისას, იდეის წვდომისა და მეტად რთული ფინანსური მოდელის განხორციელებისათვის ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო რეკომენდაციებისათვის. მე უდიდესი პატივისცემით ვარ გამსჭვალული პრემიერ-მინისტრ, ბატონ **გიორგი კვირიკაშვილისადმი** და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მასთან ერთად დაიწყება და მიღწეული იქნება ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი უწყების ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული მართვის კულტურა ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ კერძო ბიზნესინტერესების ხელშეწყობას საკუთარი გამდიდრების მიზნით. უნდა გაიგოს ყველამ, ეს ბუნებრივი რესურსი არის საერთო სახალხო საკუთრება და ის უნდა მოხმარდეს ქვეყანას და ხალხს, უკეთესი ცხოვრების პირობების შესაქმნელად.

გვახსოვდეს უფსკრულის პირას ცალ ფეხზე მდგომი ჩვენი ქვეყანა და ხალხი, ის დიდხანს ვერ გაუძლებს სიღატაკითა და უიმედობით გამოწვეულ ემოციურ დატვირთვებს. დროა, ყველა გავერთიანდეთ და გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა, ხოლო ეროვნული ფასეულობებით შენიღბულ და პოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილ სხვისი ხელის შემყურე ახალი ბურჟუის წარმომადგენლებს ვთხოვ, ნუ გადააყოლებთ თვენს პირად კეთილდღეობას ჩვენი ქვეყნის, ხალხისა და მომავალი თაობების კეთილდღეობას.

თქვენი მეშვეობით,კიდევ ერთხელ მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს ვინც წვლილი შეიტანა „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუციის შექმნაში“, განსაკუთრებით **ლევან ბუაძეს, ზაზა გელაშვილს, ალეკო ჩხეიძეს, დიმიტრი ნიკოლაძეს, ენვერ ნიჟარაძეს, ვაჟა გავაშელს, ელიზბარ ჯაველიძეს, გურამ საღარაძეს, ზაურ ციხელაშვილს, ნოდარ ჩხეიძეს, ლევან ჩაჩუას, გიგა ბათიაშვილს, მერაბ დადიანს, მაყვალა ბერიანიძეს, სულიკო დარსაველიძეს, შოთა კიკალიშვილს, თამაზ კუნჭულიას** და ყველას, ვინც ჩემთან ერთად იბრძოდა წლების მანძილზე ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის.

ერისა და ბერის, სრულიად საქართველოს საყურადღებოდ ვამბობ, ჩვენი ქვეყანა, მისი მოსახლეობა და მოდგმა ჩვენი, გადარჩება იმ შემთხვევაში, თუ მთავრობისა და კანონმდებლების უმრავლესობაში აღსდგება ერთიანობის განცდა დასახული მიზნის მისაღწევად...მიზანი კი ერთადერთია ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე, „საქართველო უნდა გახდეს ბიოლოგიურად აქტიური ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გამტანი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა მთელ სამყაროში“, რაშიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის მიღწევის გარანტიებია ჩადებული. მუდამ გვახსოვდეს რომ ჩვენ უმდიდრესი ქვეყნის, ღვთისკურთხეული მიწის შვილები ვართ. მამულიშვილობა, კაცთმოყვარეობა და გონიერება გადაგვარჩენს!

**პაატა გიორგაძე.**

**რედაქციისგან:** **ცნობილი მეცნიერისა და ჭეშმარიტი პატრიოტის, ბატონ პაატა გიორგაძის ეს ერთობ მნიშვნელოვანი და საყურადღებო წერილი, რომლის პუბლიკაცია დღეს დამთავრდა, ჩვენს გაზეთში, სხვა წამყვან გაზეთებშიც, არაერთხელ დაიბეჭდა, რადგან ვიყავით და ახლაც ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მასში აღძრული უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი სწორი სახელმწიფოებრივი მიდგომა და ხელისუფლების სათანადო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ქვეყანას უთუოდ სასიკეთოდ წაადგება.**

**იმედია, ჩვენი ამჟამინდელი ეროვნული ხელისუფლება სწორად მიუდგება ამ სახელმწიფოებრივი პრობლემის გადაწყვეტის საკითხს.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 31-32

◎ ვაიჟურნალისტების რეიტინგი, პოპულარობა და მორალი

# მიწვევა ნასუფრალზე

*ლაგვიანებული ტიკტიკა*

**დასრულდა დიდი ხნის მოლოდინი. გაიხსნა ოპერისა და ბალეტის თეატრი, შედგა „აბესალომ და ეთერის“ პრემიერა. მინავლდა ვნებათაღელვა, რომელიც არა იმდენად სახელოვნები იყო, რამდენადაც — ყოფითი.**

...ოპერისა და ბალეტის თემა თვეების მანძილზე პრესისა და ტელევიზიის ყურადღების საგანი იყო. ჩემთვის, როგორც არქიტექტორისთვის, რა თქმა უნდა, საინტერესო იყო არ მხოლოდ „აბესალომ და ეთერის“ ახალი ინტერპრეტაცია — რეჟისურა, დირიჟორი, ორკესტრი, სოლისტები, სცენოგრაფია, გუნდი, კოსტიუმები და ა.შ., არამედ შენობის რეაბილიტაცია-რესტავრაციის ხარისხი. ხუროთმოძღვარმა **ლერი მეძმარიაშვილმა** ამჟამადაც (ის აწ გარდაცვლილ მეგობართან **მურთაზ ჩაჩანიძესთან** ერთად ავტორია 1973 წლის 9 მაისის ხანძრის შედეგად განადგურებული ოპერის თეატრის რეკონსტრუქცია-გაფართოების პროექტისა) მაღალ პროფესიულ დონეზე შეასრულა არა მხოლოდ დიდი მოცულობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, არამედ არსებულ მოცულობაში შეძლო თეატრისათვის აუცილებელი კომფორტული სარეპეტიციო დარბაზის შექმნა. რესტავრატორმა **ჯონი ახობაძემ** კოლეგებთან ერთად ჩაატარა ურთულესი, ფიზიკურად უმძიმესი სარესტავრაციო სამუშაოები. მათ ხარაჩოებზე „გამოკიდულებმა“ ხელახლა „გადაუარეს“ თეატრის ჭერისა და კედლის მხატვრობას, მათ შორის მოოქროვილ ნაწილებს. აღადგინეს დაზიანებული ფრაგმენტები. არცერთ გაზეთს, არც ტელევიზიებს არ წამოსცდენიათ არქიტექტორის და რესტავრატორების სახელი. ოპერისა და ბალეტის ხელმძღვანელობამ ხუროთმოძღვრის ღვაწლი ორი მოსაწვევით „დააფასა“, ხოლო რესტავრატორებისა — არცერთით. დიდად სამწუხაროდ, ძლევამოსილად გრძელდება მ.სააკაშვილის მიერ დამკვიდრებული არქიტექტორების იგნორირების წესი.

თუმცა, რა უნდა გაგიკვირდეს, გარდა პრემიერ-მინისტრისა, არავის „გახსენებია“ ბატონი ბიძინა ივანიშვილი, კაცი, რომელმაც შეძმნა ეს დღესასწაული, ადამიანი, რომელმაც ოპერისა და ბალეტის თეატრისთვის 40 მილიონი ლარი გაიღო, ხოლო საერთოდ ქართული თეატრისთვის — 144 მილიონი. ყველაფერი ეს ზღვის ერთი წვეთის მსგავსად ზუსტად ასახავს დღევანდელი ქართული პრესისა და ტელევიზიის მდგომარეობას.

რადგანაც სიტყვა პრესა-ტელევიზიაზე ჩამოვარდა, მინდა, გაგიზიაროთ შთაბეჭდილება ამ ფაქტისადმი მიძღვნილი „ეკა ხოფერიას შოუზე“, რომელსაც ქალბატონმა თამარ ივერმა, სრულიად სამართლიანად, „არაფრისმომცემი შოუ“ და „ნასუფრალზე მიწვევა“ უწოდა. ვერ მივხვდი საზოგადოების რა ნაწილზე იყო გათვლილი ეს ხალხმრავალი შეკრება და საერთოდ რატომ არიან მიდრეკილი ქართველი შოუისტები პომპეზურობისკენ, რატომ გაუჩნდათ ამბიცია, „ტელეშოუ“ აქციონ ერთი მსახიობის თეატრად. დაპირისპირებული მხარეების შეკრება-შეხვედრა პირდაპირ ეთერში, წივილ-კივილი, გინება, მუშტი-კრივი სრულებითაც არ ნიშნავს, რომ შოუ წარმატებულია, რომ მან საზოგადოებას მოუწოდა სამართლიანობისკენ, სიმართლისკენ, სიკეთისკენ. ქალბატონი თამარი სავსებით მართალია, მეც დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ქალბატონი მედეა ამირანაშვილი („მირიანაშვილი“), ქალბატონი თამარ ივერი, ბატონები გიზო ჟორდანია, თემურ გუგუშვილი, გოგი ალექსი-მესხიშვილი „ნასუფრალზე“ მიიწვიეს. თითოეულ მათგანთან შეხვედრა საზოგადოებისთვის გაცილებით საინტერესო იქნებოდა, ვინემ ორსაათიანი ჭორაობა ქურქებსა და იმაზე, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მიწვეული პრემიერაზე და ვინ — არა. **მინდა, მავანს ვურჩიო, სანამ ნინო ანანიაშვილზე საუბარს დაიწყებდეს, დაფიქრდეს, აქვს თუ არა ამ გვარის ხსენების უფლება, გააკეთა ქვეყნისთვის, თუნდაც იმის მეასედი, რაც გააკეთა ქალბატონმა ნინომ?**

ყოველივე ზემოთქმული იმაზე მიანიშნებს, რომ ქართულ პრესასა და ტელევიზიებში ტაქტისა და გემოვნების პრობლემა ნამდვილად არსებობს. პრესას და ტელევიზიას გაცილებით მეტი მოეთხოვება, ვინემ მასას, რომელმაც დიდად განსაზღვრა გასული XX საუკუნის (და დღესაც განსაზღვრავს) ადამიანების გემოვნება, ყოფა, ხასიათი.

ძვირფასო ჟურნალისტებო, გარემოებათა გამო თქვენს ხელში აღმოჩნდა მიკროფონი და ტელეეკრანი. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ისინი თქვენი საკუთრებაა. **არ მწამს არც პრესა, არც ტელევიზია, რომელიც ქვეყნის სამსახურში არ დგას. დღევანდელ დაძაბულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში ეს განსაკუთრებით აუცილებელია. „ქვეყნის სამსახურში“ არ ვგულისხმობ ხელისუფლების ქებას.**

რეიტინგი და პოპულარობა სრულებითაც არ ნიშნავს ხარისხს. ანაბელ ჩონგი, სინგაპურელი გოგონა უზრუნველყოფილი ოჯახიდან, გადაბარგდა აშშ-ში და 26 წლის ასაკში მსოფლიო ჩემპიონი გახდა „ჩქაროსნულ სექსში“. მან 10 საათის განმავლობაში 251 მამაკაცი „გააბედნიერა“. მეორე დღეს მისი სახელი მთელ მსოფლიოს ეკერა პირზე. არა მაქვს ცნობა, რამდენი მამაკაცი „გააბედნიერეს“ მე-2 და მე-3 ადგილზე გასულებმა და რა პროგრამით მიდიოდა მათი წვრთნა. საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში, პოპულარობა და რეიტინგი არა მნიშვნელობით, სიდიდით, არამედ სკანდალებით, სენსაციურობით, შოკით, ტრადიციული მორალურ-ეთიკური ნორმების რღვევის ხარჯზე ხდება. ხომ გახდნენ პოპულარულები და ცნობადები გოგონები, რომლებიც ქართულ „Playboy“-ში გაშიშვლდნენ. მწერლობაში რამდენიმე ახალგაზრდამ სკაბრეზით მიიპყრო ყურადღება. რეიტინგი, პოპულარობა და მორალი სხვადასხვაა.

**P. S. ბსაკოვან მაყურებელს, ალბათ, ახსოვს, ახალგაზრდობას კი მსურს შევახსენო ოპერისა და ბალეტის შენობის ისტორიის ზოგიერთი ფაქტი. 1973 წლის 9 მაისის ხანძარმა მთლიანად გაანადგურა თეატრის სამაყურებლო და სცენური ნაწილი, მკვეთრად შეარყია შენობის მდგრადობა, გადარჩა მხოლოდ ძლიერ დაზიანებული წინა ნაწილი, ფასადი რუსთაველის გამზირის მხრიდან, ფოიე-ვესტიბიული. ეს იყო უდიდესი ეროვნული შოკი. ხელისუფლებამ, ბატონი ედუარდ შევარდნაძის თავკაცობით არნახული ოპერატიულობა და მიზანსწრაფვა გამოიჩინა. უმოკლეს დროში დამუშავდა საკონკურსო პროგრამა, რომელიც სამაყურებლო-სასცენო ნაწილების სრულიად ახლებურ გააზრებას ითხოვდა. გამოცხადდა კონკურსი, გამოვლინდნენ გამარჯვებული ავტორები, გამოიძებნა თანხები, იმავე წლის (1973) ბოლოს დაიწყო სამშენებლო სამუშაოები. თეატრი გაიხსნა 1977 წლის ივლისში. სრულიად ახალია სამაყურებლო დარბაზი, მისი კონფიგურაცია, ფორმა, ტევადობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა სცენური ნაწილი, აღიჭურვა უახლესი ტექნოლოგიით, შენარჩუნებელია ფასადებისა და ინტერიერის სტილი. უმადურება იქნება, არ გავიხსენოთ ადამიანები, რომელთა მხრებზე გადაიარა ამ ოთხწლიანმა დაძაბულმა ეპოპეამ. ავტორები ლერი მეძმარიაშვილი და მურთაზ ჩაჩანიძე, მთავარი კონსტრუქტორი ჯუმბერ ბოკერია, სამშენებლო ორგანიზაცია მე-13 ტრესტი, მმართველი გურამ გოგიჩაძე, მშენებლობას წარმართავდა გოგი რამიშვილი, საპროექტო ინსტიტუტი „საქქალაქმშენსახპროექტი“, დირექტორი გიორგი (გოგი) ანდრონიკაშვილი, საქართველოს სახმშენის თავმჯდომარე ირაკლი ციციშვილი, თბილისის მთავარი არქიტექტორი ივანე ჩხენკელი, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე ბახვა ლობჟანიძე, ქალაქკომის პირველი მდივანი პავლე გილაშვილი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე.**

**ეს ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს!..**

**ვახტანგ დავითაია,**
არქიტექტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი

◎ სიტყვა მეგობარზე

# ჩემი თაობის ღირსეული კაცი

**სულით ხორცამდე ჟურნალისტი და ნაღდი ვაჟკაცი**

**ყველა თაობა თავის ეპოქას ქმნის, ზოგი შთამბეჭდავია და ისტორიასაც შემორჩება, ზოგი კი ფერმკრთალი, ადამიანთა გარკვეულ ჯგუფსღა რომ ეხსომება. გამონაკლისი არც ჩვენი თაობა ყოფილა, ომის დროინდელი გოგო-ბიჭების თაობა, რომელმაც ბევრი სასახელო და გამორჩეული ადამიანი წარმოაჩინა, რომელთა ნაწილი დღესაც ქვეყნის სამსახურშია.**

ამჯერად მინდა რამდენიმე სიტყვა დავწერო ჩემი თაობის ერთ-ერთ გამორჩეულ ადამიანზე — **არმაზ სანებლიძეზე,** რომელსაც ახლახან 80 წელი შეუსრულდა. ჩვენ პირველსკოლელები ვართ და იმ დაუწერელ კოდექსსაც დღემდე პირნათლად ვასრულებთ, პირველსკოლელობამ რომ დაგვანათლა. თითქოს გუშინ იყო ჩვენი ჟრიამული სკოლის დერეფნებში, სადაც ზნეობის, პატრიოტიზმისა და სწორად ცხოვრების წესებსაც გვასწავლიდნენ.

ბატონ არმაზს სკოლის პერიოდშივე ჰქონდა ლიდერის ის თვისებები, თავის ორბიტაზე მხოლოდ ღირსეულებს რომ იზიდავდა. ჩვენს სამეგობროში იგი ყველაზე ადრე ეზიარა „დიდკაცობასაც“. იყო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, კომკავშირის ცკ-ის სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგე, შემდეგ გაზეთების „მოლოდიოჟ გრუზიისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი. სწორედ ეს გაზეთები გვაცნობდა ახალგაზრდობის ცხოვრების იმ საინტერესო მოვლენებს, ასე უხვად რომ იყო ჩვენს საქმიანობაში. იმ იდეოლოგიური წნეხის ფონზეც კი ... ბატონი არმაზი, როგორც მთავარი რედაქტორი, ახერხებდა წინა პლანზე წამოეწია არა მარტო ჩვენი საქმიანობა, არამედ ახალგაზრდობის სულიერი განწყობაც, რაც ყოველთვის როდი თავსდებოდა კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოებში.

მახსოვს, 1957 წელს ქ. ლაიფციგში ჩატარდა მსოფლიოს სტუდენტი ახალგაზრდობის სამეცნიერო ფორუმი, რომელშიც საქართველოდან ვმონაწილეობდით სამნი და ყველა ჩვენგანმა თავის მოხსენებებში ბრწყინვალედ წარმოაჩინა საქართველო. მე ის ინტერვიუც კარგად მახსოვს, რომელიც მაშინ უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა არმაზ სანებლიძემ აიღო ჩემგან. ეჰ, ნეტავი იმ დროს, ერთმანეთის სიყვარულით რომ ვცხოვრობდით და ერთმანეთი რომ გვეამაყებოდა... ჩემო არმაზ, დღესაც მახსოვს ის დრო და ვამაყობ.

მერე ცოტა ხნით გავიფანტენით, დიდი ცხოვრების გამოცდისთვის ვემზადებოდით. მე მოსკოვში გავაგრძელე სწავლა. ქართველებს „ლუჟნიკის“ სპორტის სასახლეში ერთი სექცია გვქონდა „ამოჩემებული“, იქ ვიყრიდით თავს. მახსოვს, არმაზის გამოჩენას რა აღტაცებითა და სიხარულით შევეგებეთ. იგი მაშინ საქართველოს კომპარტიის ცკ-ში ძალიან პასუხსაგებ სექტორს ხელმძღვანელობდა, რომელიც ქართულ ტელევიზიასაც კურატორობდა, შემდეგ ამავე ტელევიზიას და ქართულ რადიომაუწყებლობას ჩაუდგა სათავეში და, ალბათ, მისი დიდი დამსახურებაცაა ის, რომ ქართული ტელევიზია ერთ-ერთი საუკეთესო იყო ქვეყნის მასშტაბით. ბევრ ჩვენგანს დღემდე ახსოვს ის სიხარული, რომელსაც მაშინ ტელევიზიის მეშვეობით ვიღებდით.

„მიეცით ჯარისკაცს საშუალება, გახდეს გმირი“ — ეს სიტყვები დიდ ბონაპარტს ეკუთვნის. ყველა ადამიანში არსებობს გმირობის პოტენციალი, ზოგი გმირადაც იბადება, ზოგს კი გარემოება უბიძგებს გმირობისაკენ... ჩემთვის გმირობაა ის, რაც შენ გააკეთე, არმაზ, ჩერნობილის ატომური სადგურის აფეთქების და ავღანეთის ომის დროს.

მართალია, ჟურნალისტის მოუსვენარი პროფესია თავგანწირვასაც მოითხოვს, მაგრამ როდესაც მინისტრის რანგში ხარ, ასეთი საქციელი ნაკლებად მოგეთხოვება. შენ კი თავად გაემგზავრე იქ, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე საფრთხე გელოდა. შენ არასოდეს გითქვამს, მაგრამ შენი რეპორტაჟები ჩერნობილიდან და ავღანეთიდან საზოგადოებამ გმირობად აღიქვა.

შენი პროფესიონალური სიმამაცე შემდეგაც ბევრჯერ გამოჩნდა, თუნდაც 1989 წლის სისხლიანი მარტისა და მომდევნო წლებშიც, როდესაც ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაიწყო. ასეა, მეგობრებო, ბატონი არმაზი მაშინაც ნაღდი ჟურნალისტი იყო, როდესაც დიდი თანამდებობები ჰქონდა და დღესაც. იგი სულით ხორცამდე ჟურნალისტია და ამის დასტურია ის წიგნები, რომლებიც მან გამოსცა და კიდევ გამოსცემს.

გვეამაყები, ბატონო არმაზ, მერე რა, რომ ჩვენი რიგებიც თხელდება, სამაგიეროდ, რჩება ნაწერი, პუბლიკაციები, რომელთაც შთამომავლობა წაიკითხავს და იამაყებს ჩვენით. შენც კარგად იცი, რომ ეს ყველაზე დიდი ჯილდოა.

ბატონო არმაზ, მინდა, მეგობრების სახელით მოგილოცო აკაკი წერეთლის სახელობის პრემია, რომელიც მწერალთა კავშირმა მოგანიჭა.

გაიხარე ...

**ნაპოლეონ ქარქაშაძე**

**ГИВИ ЖАЛЫЧА** **НОВЕЛА**

# სიყვარულს რას გაუგებ?!

სტოკჰოლმის უპირველეს სასტუმრო „შერატონის“ ფეშენებელური რესტორანი შტრაუსის ვალსს დაეპყრო. გგონია მოცეკვავე წყვილები სადაცაა, აფრინდებიან. ბროლის ჭაღების შუქში გახვეული ადამიანები თითქოს სადღაც მაღლა მიისწრაფვიან. როცა სისხლში სასმელი და მუსიკის რიტმი უხვადაა, თან ლამაზი ქალბატონი გახლავს და მაცდურად გიღიმის, სულში მხოლოდ სიყვარული მეფობს და სადღაც მაღლა გეწევა. მეშვიდე თუ მეცხრე ცაც აქვეა, ერთი ხელის გაწვდენაზე...

– შეხე, – ოცნებას მომწყვიტა ჩემმა თანამესუფრემ, საფერფლეში სიგარეტი ჩააქრო და თვალებით დარბაზის სიღრმეში მიმანიშნა.

ლარისას მზერას თვალი გავაყოლე, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი შევნიშნე.

– მარტოდ რომ ცეკვავს, აი, აგერ, ჭაღარა კაცი, იმ მაღალ ქერა წყვილს რომ გამოსცდა...

საუკუნის ტვირთით გვარიანად მხრებდამძიმებული, მაგრამ მხნე, კაფანდარა კაცი ჰყავდა მხედველობაში.

– თითქოს მეწყვილე ოდნავ მოცილებული ჰყავდეს, აი, ახლა კი ლამის ერთმანეთთან შესისხლხორცდნენ, სუნთქვაც კი ერთი აქვთ, რა მსუბუქად დაჰყავს, რა ფრთხილად. მანდილოსანიც რა ჰაეროვანია, ძველმოდური, ნარნარი, მერედა რა ლამაზად ცეკვავს...

რა თქმა უნდა, ლარისას ნათქვამი ოხუნჯობად ჩავთვალე, რამეთუ კაცი მარტო იყო. მაინც რა ფანტაზიით შექმნა ძველი ყაიდის ბანოვანი, თუმცა, ყველაფერი თითქოს ჩანდა, როგორც ლარისამ აღწერა და მეც დაბნეული მივჩერებოდი შავად შეღებილ, წამწამებს შორის მომწყვდეულ მის მოციმციმე თვალებს.

– შენც ხომ არ ისურვებდი მასთან ცეკვას, ასეთ კავალერს ძნელად იპოვი! – იჭვნეული ღიმილით ვკითხე.

– და გგონია, მოისურვებს? ყოველთვის მარტოა თავის სამყაროში, გარემოსთან მხოლოდ მუსიკა აკავშირებს... თან ასე გატაცებით, ასე მხურვალედ ცეკვავს. აბა, კარგად დააკვირდი მის დახვეწილ მანერებს, თანაც მეწყვილე, უხილავი ქალბატონის სინარნარეს, აი, მისი წამლისფერი თმის სურნელსაც არ გრძნობ განა?!

ლარისა ამ სიტყვებს რაღაცნაირი შთაგონებით წარმოსთქვამს. იგი თვითონაც ძალზე მომხიბლავია, ჰაეროვანი. წუთით მოცეკვავეებზე ფიქრს განვერიდე და ქალს წელზე ხელს ვხვევ, ვეთბილები.

– ეტყობა, მის შესახებ ბევრი რამ იცი, – ვეკითხები მოგვიანებით.

– ეს მთელი ბალადაა...

– ალბათ, სევდიანი ამბავი იქნება, შეიძლება ტკივილიანიც, ოცნებებს ნუ დაიმძიმებთ, პატარა ქალბატონო! – ჭიქა მივუჭახუნე და შნაპსი მოვსვი. ლარისამ შეიფერა ჩემი ქათინაური, ან იქნებ საერთოდ ვერც გაიგო, თვითონაც მოსვა სასმისიდან, სახეზე მეოცნების საოცარი ღიმილი და სიკეთის არილი დასთამაშებდა. მის მზერას თვალი მივაყოლე და კვლავ კენტად მოცეკვავეს წავაწყდი. მე თუ მკითხავ, ფრიად უხერხულია ასე ცეკვა, რაც უფრო მეტად ვაკვირდები, მით უფრო კომიკურად, სიგიჟედ მეჩვენება ამ კაცის მარტოდ ბორიალი... არადა, აქ მისთვის არავის ეცალა, მასკარადზე მარტონი ვერ იქნებიან, ყოველ შემთხვევაში, ფიზიკურად მაინც. ძნელია, ასეთ დროს მარტო დარჩე, განიკვეთო ყველასაგან და შენს სულს ელოლიავო. აქ ხომ ჯადოქარი მუსიკა ბობოქრობს, ხან ქარიშხლის ფრთებით ნავარდობს, ხან ბულბულის ხმასავით მინაზდება. აჰა, კიდევ ერთი აკორდი დასრულდა. სახეაელვარებული მამაკაცები თავაზიანად მიაცილებენ თავიანთ მანდილოსნებს, თვალებში შესციცინებენ, როგორც იტყვიან, ნიავს არ აკარებენ. იმ მარტოხელამაც, ჭაღარა ასე რომ უბრწყინავს, გამორჩეული სათნოებით, მოწიწებით მიაცილა წარმოსახვითი ქალბატონი, ოდნავი თავის დაკვრით თითქოს მადლობა გადაუხადა და გვერდით მიუჯდა.

რას არ გადაეყრება ადამიანი! ეტყობა, აფრენს-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ლარისას ვერ შევბედე ამის თქმა... მეორე კვირაა, რაც „შერატონის“ ბინადარი ვარ, ეს ამერიკული ფეშენებელური სასტუმრო, სტოკჰოლმის ძველ კვარტალში, ამჯერად მე მეკუთვნის. დიახ, დროებით, მაგრამ ახლა ჩემია, ეს ბრდღვიალა რესტორანი, ათასი ჭაღით მოლიცლიცე, ჩანჩქერებად ჩამოპირქვავებული ბროლის სტალაქტიდებით. ჩემია ეს მუსიკა, ასე რომ აჯადოებს აქაურობას. ჩემია ლარისა ბერმანი, ეს საოცრად ნაზი ქმნილება, ჩრდილოეთის ნამდვილი ფერია და ეს ღამე, რომლისთვისაც ღირდა ამქვეყნად გაჩენა...

ო, ლარისა ბერმანი, შენ რომ შეგხვედროდი, თითქმის ოთხი ათასი კილომეტრი ვიფრინე, ლითონის მძლავრი ხომალდი რამდენიმე საათის განმავლობაში ცის თაღზე ეკიდა და მეც მშვიდად ვიხედებოდი ილუმინატორიდან. თავზე უსაშველოდ მრუმე ცა, შიშისმომგვრელი უძირო ზესკნელი გვეხურა. მნათობები აქედან უფრო პირქუშად გამოიყურებიან, ცივი და მიუკარებელნი ჩანან. განსაკუთრებით ერთი მათგანი ძალიან შორსაა, სადღაც, უკიდურეს ჩრდილოეთში. მე მასში შენ შეგიცან, თითქოს რაღაცით გგავს და რაოდენ გულსატკენია, ყოველივე იმის მტკიცება, მუხლმოყრილის ფიცი და ცრემლი საჭირო რომ აღარაა, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ ამ წუთებში უღმერთოდ მიყვარხარ. ჩვენ ვგრძნობთ საუკუნის მაჯისცემას და უსიტყვოდ მივყვებით ბუნების კარნახს. ჰოდა, ამ აღსასრულის იისფერ ციალში ლღვებიან ჩვენი სულები.

სტოკჰოლმის ეს საღამო და ის ბედნიერება, რომელსაც ამჟამად ვფლობ, შნაპსის ცეცხლში შეზავებულა. ეს ჯადოსნური ნათურებით მოვარაყებული დარბაზი, თურმე ამერიკელ მილიონერს ეკუთვნის. ის ფულიანი, გამღენძილი ძია, ვისაც ცა ქუდად და დედამიწა ქალამნად არ მიაჩნია, წელს არ ჩამობრძანდა, ჩერნობილმა დააფრთხო, რადიაციას დაემალა. სასაცილო კია, კაცობრიობას ატომური ბომბით ემუქრებოდე, თვითონ კი ქარის თუ ღრუბლის მოტანილ მტვერს უფრთხოდე.

ასე რომ არა, თავდავიწყების ბურუსში და სიგარეტის კვამლში გახვეული ეს ღამე, ალბათ, ჩემი არასდროს იქნებოდა... ამჯერად ჭიქა განთქმული ფრანგული ღვინით შევავსე. შნაპსს ლარისას ხათრით მივეძალე. რატომღაც ის ამ თეორ სითხეს არჩევს, რა გაეწყობა... თორემ ეს ფრანგული ქინძმარაულივით შავია და ვნების მომგვრელი. სისხლსაც ისე აჯანყებს, ალბათ, სხვა დროს ვერც იმას შევიტყობდი, ქართული ვაზის ნაჟურს რომ ვერაფრით სჯობია.

ფრთხილად მიჭირავს ლარისას მარჯვენა, იგი სანთლისაგან ჩამოსხმულს ჰგავს და მის მკლავებზე ცისფერი ძარღვები თრთიან, თითქოს გზნებით მავსებენ. ერთმანეთს უხმოდ ვუგებთ. ახლა უკვე გულები საუბრობენ, სიფრიფანა სხივების ძაფებს ქსოვენ. მერე ვნებას მიჯაჭვული ჩავინთქმები თავდავიწყების უფსკრულში.

შენ რაღაც საოცარი მასალისგან შეუქმნიხარ შემოქმედს, მზის ფცქიალით აუვსია შენი ცისფერი თვალები, სახესაც ყვავილის ღიმილი გიკასკასებს... ვხედავ, შურით მომჩერებიან შენი თანამოქალაქენი, კავკასიელი რად ეპატრონებაო ჩვენს საუნჯეს. შვედები ცივი ხალხიაო. არიან კი? შენში იმდენი ცეცხლია, მიკვირს რად არ ლღვებიან შენი ქვეყნის ყინულოვანი მთები.

სამოთხე... მერედა სად არ ეძებდნენ მას? იგი ხომ აქვეა, შენს გვერდით, შენს ირგვლივ. ო, ლარისა ბერმან, მეჩვენება, რომ დრო შეჩერდა. მარადისობის უკიდეგანო სივრცეში ხომ არ გავირინდენით? მაგრამ არა, შენს პაწია მაჯაზე დროის ციცქნა ელექტრომრიცხველი ციმციმებს და ჩქარობს. ჟამის სრბოლა ვის შეუჩერებია, რომ ჩვენ მოვთოკოთ წუთები. ჭიანჭველებმა რომ იციან, იმგვარად, ერთმანეთს გამოკიდებულნი მიიჩქარიან ჩვენი საუკუნის საოცრებებით დატვირთულნი, თავიანთი უსახური ზურგით მოაქვთ ლხინი და ვარამი, სიხარული და დარდი.

თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, ლარისამ საათს დახედა. მერე წამით შეშფოთდა, იქნებ ქმარი გაახსენდა, იქნებ შვილი... არა უშავთ, ისინი ერთმანეთს მიხედავენ. იციან, რომ დროს უქმად არ დაჰკარგავ. უმალ მშვიდდება. მერე საცეკვაოდ ვიწვევ. ლარისა მორიგ სიგარეტს აქრობს, სწრაფად დგება, ტანზე შემოტკეცილ ცისფერ კაბას იხალვათებს და ჩვენც უკვე საერთო ფერხულში ვითქვიფებით. ზღვის აქაფებულ ტალღებს მივყვებით, მუსიკის ქარიშხალს რომ აუგორებია, მერე თავის ნებაზე გრაგნის და უნაპირო სივრცეში შხეფებად ამსხვრევს

მუსიკამ კვლავ მთელი ძალით იფეთქა, ერთბაშად ამოზღვავდა. ვეებერთელა დარბაზის ყველა კუთხე-კუნჭული დაიპყრო და აახმაურა. კვლავ დაწყვილდნენ სუფრებიდან წამოშლილნი. მე კი, ჩემდა უნებლიედ, დავეძებ იმ მარტოხელას, ჩემს ფიქრებში მარტოსულს. აი, ისიც, მუსიკის ტაქტებს ნარნარი მოძრაობით გამოჰყვა, თითქოს ხელის გულზე პეპელა უზის და ეშინია, სუნთქვამ ფრთები არ დაუზიანოს. თითქოს ყვავილების წალკოტში მიირწევა, მლოცველის მოკრძალებით ესათუთება თავის მეწყვილეს. მერე მუსიკა გამძაფრდება, მაღალ ბგერებზე გადადის და აღმაფრენაც უმაღლეს წერტილს აღწევს. ტანის მოქნილობა, ელეგანტურობა, რაინდული შემართებაც კი გამოსჭვივის ამ მოძრაობაში. სადღაც, შორს მეტოქისაკენ მიმართული მახვილი, რომ საფრთხე აარიდოს მის სათაყვანოს, ახლა მას გულში იკრავს, უსიტყვოდ, უხმოდ ამშვიდებს: ნუ, ნუ ჩემო ძვირფასო, შენ ნურას იდარდებ, იცეკვე, ინარნარე ნებივრად, სიზმრების იისფერ უსასრულობაში იცურავე გედის სილაღით.

ღმერთო დიდებულო, მაინც რას ნიშნავს ყოველივე ეს. მართლაც და ჭკუაზე თუა?! ნუთუ ამდენ ხალხში ვერავინ იპოვა ეცეკვოს, გაიყოლოს, გულის ხვაშიადიც გაუზიაროს?!. აგერ ჩემს პირდაპირ, მაგიდას სამნი უსხედან, განსხვავებული ასაკის, სილამაზის, აღნაგობის... მარტოხელა მოცეკვავეს ისე შეჰყურებენ, შორიდან ელაციცებიან, ლამის წამოფრინდნენ სკამებიდან. ოღონდ ინებოს და გაჰ ყვებიან კი არადა... მაგრამ კაცი თავის მეწყვილეს, ჩემთვის არარსებულს, სადღაც შორეულს, თუნდაც, ისე შესციცინებს თვალებში, ალერსით, სათუთად...

აი, ახლაც საოცარი სიფრთხილით მოუნაცვლა წელზე ხელი, მერე წამით ისევ ერთმანეთს ჩაეხუტნენ... რომ არა მამაკაცის მარცხენა ლოყის ალისფერ ნაიარევში შეფუთვნილი უსაზღვრო სევდა, ალბათ ავხარხარდებოდი.

ლარისა მშვიდად იღიმება, – სიამოვნებით ვეცეკვებოდი, ცეკვის ჯადოქარიაო... მე ვეჭვიანობ, აზიელის სისხლი ჯანყდება, ვემუქრები. მერე მორევში ვბრუნავთ, ტალღები გვარწევენ, ხან ქოჩორზე მოგვიქცევენ, ხან მის უბეში ვიძირებით. მარტოხელა კაცი თვალსაწიერიდან მეკარგება, თუმცა, უეცრად ისევ ჩემს თვალწინ ამოტივტივდა. ასაკისათვის შეუფერებელი, დაუჯერებელი სიმკვირცხლით, მარდად დატრიალდა, რამდენიმე ბრუნი გააკეთა, მერე წამით დასცილდა მეწყვილეს... მხოლოდ მარჯვენა ხელის თითებით ეხებიან ერთმანეთს. ქალს ხელი თავს ზემოთ სათუთად გადაუტარა და ისევ შეერთდნენ...

– ღმერთმანი, ეს კაცი გადამრევს, უკვე ნერვებს მიშლის, – მეგონა გავიფიქრე, ხმამაღლა ამის თქმა არ მინდოდა.

– ნუ განსჯი ეგრე. რა იცი, საიდან მოდის, ქარიშხალგამოვლილია, ნამეხარსა ჰგავს, ხორცისა და სულის ნგრევაგადატანილი, ომის კვამლისა და დენთის სუნი ისევ რომ ასდის...

შვეიცამ, რისი გაღებაც შეძლო, ყველაფერი უხვად გვიფეშქაშა – უშურველად დაგვატკბო თავისი სილამაზით, სიმდიდრით, სიცივით, დიადი წარსულითა და ტრაგედიით... დიდი კონტრასტების ქვეყანააო, უკიდურეს ჩრდილოეთამდე გადაფენილი, ტბებითა და მდინარეებით უბესავსე, საზღვარშემოურაგვავი.. ჩვენთან გლეხი არ არის, საკუთარი ეზო მესერით, ქვაყორით, მავთულბადით არ ჰქონდეს შემოღობილი, დარაჯად ქოფაკი ძაღლიც თუ არ ჰყავს, ვერ მოისვენებს. აქ კი, სახელმწიფოს საზღვარზე, სიფრიფანა ძაფიც არა აქვთ გამმული, ჩიბუხიანი დარაჯიც არ უდგას. ორი საუკუნეა, ომი არ უნახავთ.

რესტორანში კი ათასი ჯურის ხალხია, ზოგი მეზობელი ქვეყნიდან, ზოგიც ძალზე შორეული, თანაც ურიცხვ-უთვალავი, მაგრამ მასპინძლებს ფეხებზე ჰკიდიათ მათი აქ ყოფნა. ვინ ხარ, რა ხარ, რისთვის და საიდან მოსულხარ, კაცი არ გკითხავს და არც არავის ანაღვლებს. იქნებ ეს კარგიცაა, მაგრამ მე მაღიზიანებს. ჩემი სისხლი შეურაცხყოფილია და ჯანყდება. როგორ თუ არ მამჩნევენ, მე ხომ კოლხი ვარ, ლაზი ვარ, იბერი ვარ, მარტო ჩემი სადღეგრძელო! ჩემი ტრადიცია!..

– თქვენი ხალხი სულ სხვაა, განსაკუთრებული, სხვა სამყაროდან მოსულები მგონიხართ. მიყვარს თქვენი ქვეყანა.

ლარისას იჭვით ვუყურებ, გულთამხილველი ხომ არ ბრძანდები, ჩემო მშვენიერო, ან იქნებ ჯადოქარი ხარ, მაშ, ჩემს ფიქრებს საიდან ხვდები, ნუთუ მათი გამოცნობაც შეგიძლია?..

– მე ბევრჯერ ვყოფილვარ თქვენთან, კიდევ ჩამოვალ!

აი, თურმე რა... ახლა უფრო მშვიდად ვცეკვავ, დარბაზში ნელი ტანგო ლივლივებს. წყვილებიც ზანტად მიმოირხევიან, მშვიდად, ნარნარით. ის წეღანდელი ცეცხლი სადღაა, ან მოდგაფუნე ტალღები? გრიგალი თუ ქარიშხალი მყისიერად ჩადგა: ბევრი ადგილზე ტოკავს, მხოლოდ ტოკავს და... ის ჭაღარა, ეს საიმქვეყნიოდ ბარგჩალაგებული კაცი კი... ერთი ნახეთ, რა ნეტარება უნათებს სათუთად მოვლილ პირისახეს, თვალებში ნეტარების ბურუსი ჩაფენია, ნებივრად ეთაყვანება თავის მეწყვილეს... ოჰ, როგორ ტკბება იმ მანდილოსნის სიახლოვით, მისი სხეულის სითბოთი. ის არად აგდებს უამრავ წყვილს მის ირგვლივ რომ ცეკვავს... მაინც ვინ ბრძანდება მისი ოცნების ქალბატონი?..

– ხვალ დილით ოსლოში მივფრინავ, – მეუბნება ლარისა და მკერდზე მეკვრის.

– არ გაგიშვებ! – თავდაჯერებით ვეუბნები, – ვერსად ვერ წახვალ, ასე მსურს, ასეც იქნება! თუკი მოვისურვე, ვიცი, ასეც იქნება! რა თქმა უნდა, იქნება...

– თქვენ ნამდვილი რაინდები ხართ!

– ვინ ჩვენ?

– ქართველები, გამორჩეული ხალხი ხართ-მეთქი.

– მე რომ შენთან დავრჩე, უკან აღარ დავბრუნდე, ხვალ მაინც წახვალ ოსლოში?

– წასვლით წავალ, მაგრამ მალე დავბრუნდები, – რაღაც სხვა ცეცხლი უკიაფებს თვალებში. მომწონს მისი გულახდილობა, საკუთარ თავისუფლებას აღმერთებს, აკეთებს იმას, რაც სურს, ცხოვრობს ისე, როგორც ნებავს. მისთვის ეს დედამიწა მართლაც პატარაა და სამყაროც თავის საკუთრებად მიაჩნია. მაგრამ მე ჩემი მცირე მამული მეძახის, მიყივის, მიყიჟინებს, ჩქარა წამოდიო. მე მისი მონა ვარ, მისი უღელი მადგას ახლაც, აქ შორეთში, მისი კერიის ნაღვერდალი ვარ, წინაპართა დანთებული ცეცხლის ნაპერწკალი... მე ვცრუობ, ლარისა, არც ეგეთი ვინმე ვარ, ყველა ცდუნებასა და სურვილს ავყვე.

ბოლო აკორდი... ისევ ბობქრობს მუსიკა და უცნაური სურვილი მეშადება.

– მიდი, ეცეკვე, – ვეჩურჩულები ლარისას. სანამ მოხუცი წამოდგება, მინდა, მივიდეს, ერთი ვნახო, როგორ შეხვდება ახალ პარტნიორს, ქვეყნად განა გაჩენილა მამაკაცი, თუნდაც ერთხელ ცდუნებას არ აჰყოლოდეს?!

– არ მინდა გავანაწყენო, ვიცი, არ სიამოვნებს, სხვა დროსაც შევხვედრივარ, – ჯიუტად იმეორებს ლარისა.

– ოჰო, ვითომ? დავიჯერო შენისთანა მშვენიერს უარს ეტყვის?

– შეიძლება უარი არ მითხრას, მაგრამ ცეკვისას ისე შეიცვლება, ცივი, ოფიციალური გახდება. დარბაზის რომელიღაც კუთხეს დამნაშავის ღიმილით დაუწყებს ძებნას. თითქოს იმ ვიღაცას ბოდიშს მოუხდის, აქაოდა, რომ დაგტოვე, მაპატიეო...

– მეტი აღარ შეიძლება, – მოთმინების ძარღვი მიწყდება, სათქმელი უნდა ითქვას და ლარისაც საიდუმლოს ფარდას ხსნის.

– განსაკუთრებული არაფერია. მას ჰყავდა თავისი ოცნების ქალბატონი. მერე ომი დაიწყო, ბედისწერამ სატრფო წაართვა, შეუბღალეს სინდისი, პატიოსნება. კაცმაც დატოვა თავისი სამშობლო, ომის შემდეგ სტოკჰოლმს, ჩვენს უმშვენიერეს ქვეყანას შეეხიზნა და ცხოვრობს ასე. როცა რესტორნისთვის საჭირო ფული მოუგროვდება, დიდებულ მასკარადს გაუმართავს თავის სატრფოს... ეგაა და ეგ.

– თითქოს ყველაფერი მარტივადაა, ზღაპარს ჰგავს, ძველებურ ზღაპარს... კოსმოსის ეპოქა ძალიან ჩქარა აჩლუნგებს ადამიანის გრძნობებსა და მეხსიერებას. ოთხი ათეული წელი, იქნება ცოტა მეტიც, ეჰეჰეჰეი, ეხუმრები! დიდი დროა, ჩემო მარგალიტო. შენ ხვალ იქაურ ჰაერს რომ შეისუნთქავ, ამქვეყნად ჩემი არსებობა მაინც მოგაგონდება?! დღეს ორმოცი წელი მრავალ საუკუნეს იწონის.

– და მაინც, ეს ყველაფერი სიმართლეა. მას ოცნებაშიც უყვარს ის და... – ჯიუტად მპასუხობს ჩემი მშვენიერი ქალბატონი.

შევცბი, ლარისას მზერა მოვარიდე, სავსე ჭიქა ერთი ამოსუნთქვით დავცალე, მერე ქალის ხელი მოვძებნე და ნაზად მოვეფერე.

მუსიკა ისევ გრიალებდა, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო კლასიკა, ძველებური ვალსი და ტანგო. ამჯერად დარბაზს გრიგალისებური ხმები დაეუფლა. ცეკვა როკვასა და თავბრუდამხვევ ტრიალში გადაიზარდა, გიჟურ ხმებს მიჰყვა ყველა, მოხუცი და ახალგაზრდა... ცეკვავდნენ გზნებითა და გაშმაგებით, საკუთარ ვნებაში აალებულნი ერთმანეთს უკვე აღარ ეკუთვნოდნენ, საზოგადოება დაირღვა, დაიშალა, დანაწევრდა. შიგადაშიგ ამჩნევდნენ ერთმანეთს, ისე, როგორც სარკეში საკუთარი ორეული ირეკლება... ეგ იყო და ეგ. დარბაზი გრიალებდა და ზანზარებდა. მათ შორის არ იყო მხოლოდ ერთი. ის მარტოხელა მოცეკვავე აღარ ჩანდა...

არადა, კუპიდონისგან დაისრულებზე რა არ მსმენია, რა არ წამიკითხავს, მისი ისრისაგან ნაიარევი მოაქუამობამდე მეც არ გამმრთელებია, მაგრამ შერატონელი მარტოხელის ამბავი თითქმის დაუჯერებელ ზღაპარსა ჰგავდა. და მაინც, მარტოხელა კაცის სიყვარული ღვთისგან ბოძებული სასწაული რომ იყო, გვიან, ძალიან გვიან მივხვდი.

## ნიჭი არ იკარგება!

შარშან, ოქტომბერში, ერთ-ერთ გაზეთში გამოვაქვეყნე ფართო საზოგადოებისთვის უცნობი, ნიჭიერი პროზაიკოსისა და პოეტის ანანია სალუქვაძის ერთი ლექსი. ჩემი სიყრმის მეგობარი მაშინ, 5 ოქტომბერს, 59 წლისა გახდებოდა, სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს გლდანის ციხის ჯოჯოხეთში რომ არ მოეკლა, რაც ტროცკისტებმა ბაბუას დააკლეს, ის ნეოტროცკისტმა ნაცებმა შვილიშვილს მოუთავეს – რითიც სალუქვაძეების სახელოვანი გვარის ამ შტოს მამაკაცური ხაზი დასრულდა.

ამრიგად, მამა-შვილ ანზორ და მამუკა სალუქვაძეების პოეტურ „დინასტიას" კიდევ ერთი ნიჭიერი პოეტი ანანია სალუქვაძე შეემატა.

ამ ფაქტიდან რამდენიმე დღის შემდეგ წალენჯიხიდან დამიკავშირდა ლექსის პათოსით გულაჩუყებული ვინმე გულადი გვაჯავა, რომელმაც დიდი მადლობა გადამიხადა და მთხოვა, რომ ანანია სალუქვაძის სხვა ლექსებიც გამომექვეყნებინა.

რადგან ბატონი გულადის თხოვნა ჩემს სურვილსაც დაემთხვა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ხელმძღვანელობას მივმართე, რომელთათვის ასევე უცნობი იყო ანანია სალუქვაძის შემოქმედება, მაგრამ სამაგიეროდ კარგად ახსოვთ ჩემი მეგობრის მამა, პირველი ქართული ტელევიზიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და უბრალოდ მთელი თბილისისთვის საყვარელი კაცი შოთა სალუქვაძე და მისი მამის, ჩემი მეგობრის ბაბუის, 1918 წლის დამფუძნებელი კრების წევრის, უფროსი ანანია სალუქვაძის შესახებაც ბევრი რამ სმენიათ. იქნებ ამიტომაც უყოყმანოდ დამითმეს საგაზეთო ფართობი, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ;

მაშ ასე, დღეს გთავაზობთ ანანია სალუქვაძის რამდენიმე ლექსს და ამ „აღლუმს" იმ ლექსით ვიწყებ, რომელმაც აგრერიგად შეძრა „წენდიხელი" (ასე უწოდებენ წალენჯიხას ძველები) გულადი გვაჯავა...

დავით მხეიძე

### ანანია სალუქვაძე

# ბედი ქართველი კაცისა... დღემდე უცნობი პოეტისა...

* * *

გაიხსნა ძველი ჭრილობა, ვერ გავუფრთხილდით იარებს.
ცრემლი, სისხლი და გოდება შიგ სულში დაატრიალეს.
მზე ფითრდებოდა, ქრებოდა, თურმე არწივი კვდებოდა,
ყორნებს სვავები მიემხრნენ, გმირი კვლავ
მარტო რჩებოდა.
არავინ იცის, რა ხდება, ან კიდევ რა მოხდებოდა,
ჩვენი ცხოვრება ტიალი, უკუღმა ტრიალდებოდა.
ბავშვი, ქალი და მოხუცი, არავის ეცოდებოდა,
ვაი, რა ჟამი დაგვიდგა, ძმაკაცი გვენატრებოდა!
მამა-პაპათა საფლავი ბალახით იფარებოდა,
ნაკადულები მთებიდან სულ სისხლით ფერადდებოდა.
„უშიში ვითარ უხორცო", კაცი ბრძოლაში კვდებოდა.
ბედის ვარსკვლავი იწვოდა, მთვარე უკუღმა დგებოდა...
მზე ფითრდებოდა, ქრებოდა, მყინვარზე თოვლი
დნებოდა,
ბედი ქართველი კაცისა არავის ედარდებოდა!

* * *

იცი?
გაიფრენს წლები...
იცი?
გავქრებით ყველა.
დრო აშენებს და ანგრევს,
იცი?
ვინ ვიყავით ძველად...
თითქოს იძახის ვიღაც,
წარსული ფიქრებს რჩება...
ეს გაუმარჯოს იმ კაცს,
ვინც არასოდეს კვდება...
საქართველოა ჩემი,
სიყვარულიც და სევდაც...
თუ ვუღალატო იმ კაცს,
დამწყევლოს ქართვლის დედამ!
იცი?
გაიფრენს წლები...
იცი?
გაქრება ყველა...
დროა ღმერთების ღმერთი,
იცი?
ვინ ვიყავით ძველად...

* * *

ძველი თბილისის ვიწრო ქუჩებში,
ზამთრის ნაგავი ქარმა ახვეტა.
ძვირფასო, გუშინ მართლმსაჯულებამ,
გამომიტანა მაინც დახვრეტა!
და მაპატიე, საყვარელო დედა, ბოდიში...
თქვენს ლამაზ თვალებს ცრემლები ალბობს.
მე დავიღალე ტყვიის ლოდინში, ჟამი სევდასაც
ალბათ გაალღობს.
და აღარ გინდათ ამდენი განსჯა,
და აღარ გინდათ ამდენი ფიქრი.
სიკვდილი ახლოა და ყველას გვიცდის,
სიკვდილი ხვედრია და არა დასჯა.
და აუხსენით იმ ძველ მეგობრებს,
ვინც იშუშებდნენ ჩემთან იარებს.
რომ ცოცხალია ის ქუჩის ბიჭი,
ის „ძველი ბიჭი" მოხეტიალე"...

* * *

გულში ჩაქცეული ცრემლი დაღვინდება,
სევდას ამოიტანს კვამლი სიგარეტის...
ისევ პასიანსის ბანქო გაიშლება,
ისევ მარტო რჩება ჯვრის ვალეტი!..
მოვა სიჩუმე და ისევ გარინდება,
მოვა ყველაფერი კვამლში არეული...
ნუთუ ისევ გახსოვს და არ გავიწყდება,
ქალი მოჩვენება, ქალი მთვარეული!..

* * *

როცა ჩამოფასდები, მაშინ დაგაფასებენ,
მაშინ დაგაფასებენ ხმამაღალი ლოცვებით.
შორს ობოლი საფლავი, ხომ არავინ არ იცის,
ხომ არავის უნახავს, იქ წითელი მოცვები.
ამ ცხოვრების არსი, რთული გამოცანაა,
თითქმის ამოუხსნელი, ჩემი სულის სიმბოლო,
და ფიქრების ამარა, ვრჩები იმის ამარა,
დიდი გამოცანაა, სული რჩება თუ არა?..

* * *

დოქი წაიქცა, ღვინო დაიქცა,
სიფხიზლე გაიქცა, იქვე წაიქცა,



სამი თაობა – ანანია (უფროსი), შოთა, ანანია (უმცროსი) სალუქვაძეები

მოვიდა ბახუსი და ქადაგად იქცა...
კვლავ სიყვარულის მიპყრობენ ფიქრები...
მითხარი ლამაზო! ვისი იქნები?
წაიქცა დოქი, დაიქცა ღვინო...
– ითხოვენ ხატები!
ვფიცავ წმინდა ნინოს!..
იძახის წარსული, დიდი ხნის წასული,
ისევ ფიქრები – ვისი იქნები?!
პასუხი ერთია, არ უნდა ლოდინი,
როდის მორჩება ამათი ბოგინი...
აჯანყდნენ ნერვები...
გაისმა კივილი...
– რომელი სჯობია?!
სიცოცხლე, სიკვდილი?..
სიცოცხლე ტკბილია
თუ გწყალობს ბედი...
ზოგჯერ სიკვდილშიც არის იმედი!..

* * *

ჰაერში მოკვდა ძერა!
ეს იყო ძერას წერა...
გული გაუპო ტყვიამ
და მიიბარა წერამ...
მაშინ ვიქეცი ფიქრად
და ვიწყე ლექსად წერა,
ვერ გავექცევით, ვერა,
საკუთარ ბედის წერას!..

* * *

გაზაფხული – სიხარულია,
ზაფხული – სიყვარული,
შემოდგომა – სინანულია,
ზამთარი – დასასრული...
შავი თვალები ღამეა,
თავბრუს გახვევს და გკლავს...
ლურჯი თვალები დაგახრჩობს
და გაგიყოლებს ზღვას...

წვიმა ბუნების ცრემლია,
თოვლი ბუნების სევდა...
ბუნების რისხვა ქარია,
მზე კი ყველაფრის დედა...

* * *

შიში – გაქცეული წლების,
შიში – დაბრუნება...
შიში – დარხეული ხმების,
შიში – დადუმება...
შიში – მოციქული მიწის,
შიში – მოციქული ცისა,
შიში – ჭეშმარიტებისა,
შიში – სიყვარული ღვთისა...

* * *

სიკვდილი – შვება, როგორც დაბადება...
შვება – დუელში ტყვია აცდენილი...
დარდი – ვირუსია, იცის გადადება...
ბედი – მერცხალია მოფრენილი...
ვნება – ბახუსია, სულის დასათრობი...
სული – უკვდავი, ყველაფრის მნახველი...
ადამიანი – ღმერთის გასართობი...
სიკვდილი – სიცოცხლის მეორე სახელი...

* * *

„კლიენტურას" უცდიან ქუჩის ქალები...
და ჟინმორეული ღამე იჩოქებს,
არაყს გაიყოფენ მაწანწალები...
და ძებნას დაუწყებენ გადაყრილ „ბიჩოკებს"...

* * *

ნუ დაღონდები, ნუ...
ნელა მომეფერე, ნელა,
თავს ჩამოვიხრჩობ ღამით,
როცა დაიძინებს ყველა.
ნუ დაღონდები, ნუ...
ვიცი განშორება არ გსურს,
მაშინ ნუ წახვალ, ნუ!..
ერთად შევუერთდეთ წარსულს...

* * *

ქალს უხდება სიხარული,
ქალი – გაზაფხულის დღეა...
ქალს უხდება გაგიჟება,
ქალი – მედეა...
ქალს უხდება დაფიქრება,
ქალი – შემოდგომის ტყეა...
ქალს უხდება მორჩილება,
ქალი – ტყვეა...
ქალს უხდება სიჯიუტე,
ქალი – კლდეა...
ქალს უხდება მოსართავი,
ქალი – ნაძვის ხეა...
ქალს უხდება დედამიწა,
ქალი – გეა...

* * *

მივყვები ზემელზე ჭადრების რიგს,
თბილისში წვიმს...
სულ ცოტა რჩება ვერამდე,
ვპოულობ დაკარგულ ფიქრს...
გული ვის მივცე, ვის?..
მოდი, შენ გაჩუქებ, მისს!..
მასველებს ცრემლები ცის,
ვერაზე სიკვდილიც ღირს...

* * *

პატარა რუ,
ყოფილა ცრუ...
არ ჰქონდა შნო,
გამქრალა – ტო!..

**P.S.** კიდევ ბევრი ლექსი მაქვს ანანია სალუქვაძესი და მინდა, რომ წელს, მისი დაბადებიდან 60 წლისთავზე პატარა კრებული გამოვცე და ამით მოვიხადო ბოლო ვალი ჩემი მეგობრის წინაშე...

დ. მ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# შეეცდებიან, 2008 წლის ომის შესახებ სიმართლე უმოსკოვოდ გაიგონ

**საერთაშორისო სასამართლოს ჰააგაში განზრახული აქვს ჩართოს რუსეთი თანამშრომლობაში, რათა გამოკვლეული იქნეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საქმე. ამის შესახებ თბილისში განაცხადა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან არსებული იურისდიქციისა და თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელმა პაკისო მოჩოჩოკომ, რომელმაც აღნიშნა, რომ გამოკვლევა 2008 წლის მოვლენების შესახებ უკვე დაიწყო. მოჩოჩოკო სათავეში უდგას ოფიციალურ დელეგაციას ჰააგიდან, რომელიც თბილისში ჩამოვიდა ამ კვირის დასაწყისში.**

ჰაგის სასამართლოს წარმომადგენლები ჩამოვიდნენ საქართველოში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით სამი დღის წინათ, მაგრამ პირველი განცხადებები მასობრივი ინფორმაციის საშუალებისთვის გაკეთდა მოგვიანებით — ქვეყნიდან გამგზავრების წინ. სპეციალურ შემაჯამებელ ბრიფინგზე საერთაშორისო სისხლის სამართლის პროკურატურასთან არსებული იურისდიქციისა და თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელმა პაკისო მოჩოჩოკომ, რომელიც სამუშაო ჯგუფს უდგას სათავეში, ისაუბრა ვიზიტის მიზნებზე საქართველოში და იმის შესახებ, თუ გამოძიების წარმომადგენლები რატომ იკავებენ თავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან კერძო ურთიერთობისაგან.

ამასთან ერთად, მან ისარგებლა შემთხვევით და მიმართა თხოვნით ადამიანებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ გამოძიებისათვის სასარგებლო ინფორმაცია, დაეხმარონ გამოკვლევის პროცესს. თანაც ეს თხოვნა, მოჩოჩოკოს სიტყვებით, ეხებოდა ყველა მხარეს. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დელეგაციის მეორე წარმომადგენელმა ფადი ელ-აბდალამ განაცხადა, რომ თითოეული მოწმის უშიშროება და კონფიდენციალურობა მაქსიმალურად იქნება დაცული, და მეტი რწმუნებისათვის იმაზეც კი ისაუბრა, თუ რას წარმოადგენს მოწმეთა დაცვის სისტემა ჰაგის სასამართლოში.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წარმომადგენლებმა ასევე ისაუბრეს იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით არის ერთადერთი მხარე, რომელთანაც შეძლეს მოეწესრიგებინათ თანამშრომლობა 2008 წლის მოვლენათა გამოკვლევაში. ამასთან, პაკისო მოჩოჩოკომ აღნიშნა, რომ გამომძიებლები ჯერჯერობით არ აპირებენ მოინახულონ ოკუპირებული რეგიონები. რაც შეეხება რუსეთის მხარეს, ჰაგის სასამართლოს პროკურატურის ოფისი, მოჩოჩოკოს სიტყვებით, აპირებს ჩართოს მოსკოვი თანამშრომლობაში. თუმცა ადრე რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უკვე განაცხადეს რუსეთის მონაწილეობის შეუძლებლობის შესახებ გამოძიებაში, ვინაიდან იგი არ არის რომის სტატუტის შეთანხმების წევრი. მაგრამ როგორც მოგვიანებით მოჩოჩოკომ აღნიშნა, ეს ხელს არ უშლის ნებაყოფლობით თანამშრომლობას სტატუტის გარეშე, რისი იმედიც აქვთ ჰაგაში:

**„ჩვენ ვიცით იმ განცხადებების შესახებ, რომლებიც გააკეთა რუსეთის მხარემ, მაგრამ ამასთან ერთად, ჩვენ ვთავაზობთ ყველა პირობას იმისათვის, რომ რუსეთი ჩაერთოს ამ პროცესში. ჩვენ კვლავაც გავაკეთებთ ამას და ამიტომ ჯერჯერობით საუბარია იმის შესახებ, რომ მოსკოვი არ ითანამშრომლებს ჩვენთან. მაგრამ თუ კიდეც მივიღებთ საბოლოო უარს, გამოკვლევა მაინც გაგრძელდება. დიახ, ეს მნიშვნელოვნად გააჭიანურებს პროცესს დროში, მაგრამ ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენს შესაძლებლობებს, ჩვენს არხებს, რათა კვლავ შევაგროვოთ აუცილებელი ინფორმაციები და ხმები“.**

იმაში, რომ ჰააგა შეძლებს მოსკოვის გადმობირებას ნებაყოფლობითი თანამშრომლობისაკენ, ეჭვი ეპარება ქართველ ექსპერტს საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში, იურისტ გიორგი გობრონიძეს. მან ისაუბრა იმის შესახებ, რომ რუსეთი თავდაპირველად აპირებდა თანამშრომლობას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან და გარკვეული მასალებიც კი გადასცა მას. მაგრამ ეს უფრო კეთდებოდა პროფორმისათვის, ვინაიდან, როგორც ცნობილი გახდა ჰაგა ოფიციალურად იწყებს გამოკვლევას, მოსკოვმა კი უკან დაიხია:

**„იმ დოკუმენტების თანახმად, რომლებიც რუსეთის პროკურატურამ გადასცა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს, მსხვერპლთა რიცხვმა სამხრეთ ოსეთში 146 კაცი შეადგინა როგორც სამოქალაქო მოსახლეობის, ისე სამხედროების ჩათვლით. მაგრამ თავდაპირველად რუსეთის პროპაგანდა ამტკიცებდა, რომ სამხრეთ ოსეთში ომის პირველ დღეებში 2000 სამოქალაქო პირი დაიღუპა. დეზინფორმაციის ასეთი მასშტაბების გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ რუსეთის მხარისათვის უბრალო არახელსაყრელია ითანამშრომლოს, იმიტომ, რომ შეიძლება ამოტივტივდეს არა მარტო საერთაშორისო სამხედრო დანაშაულობათა ფაქტები, არამედ საინფორმაციო „ფეიკების“ ფაქტებიც, რომლებიც რუსეთის ფედერაციამ გაავრცელა მთელ მსოფლიოში ომის პირველ დღეებში“.**

ამიტომ ექსპერტი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის მკვლევარებს მაინც მოუწევთ მიმართონ რუსეთიდან ინფორმაციის და მასალების მიღების სხვა ინსტრუმენტებს. ამათში, გობრონიძის სიტყვებით, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შეიძლება დაეხმარონ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და კონკრეტული პირები, რომლებიც საქმის კურსში არიან.

Эхо Кавказа
ekhokavkaza.com

## დედამიწის ზურგზე

### ევროკავშირმა თურქეთთან ერთობლივი სამიტის თარიღი შეათანხმა, იგი დევნილების პრობლემას ეხება

სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა პარასკევს ღამით გაჭიანურებული სამუშაო ვახშმის შედეგად მიიღეს გადაწყვეტილება საემიგრაციო კრიზისთან დაკავშირებით და შეთანხმდნენ, რომ თურქეთთან ერთობლივი გეგმა რჩება პრიორიტეტულად ამ პრობლემის გადაწყვეტაში. თურქეთი-ევროკავშირის სამიტი მარტის დასაწყისში გაიმართება.

### „THE FINANCIAL TIMES“-მა გაიგო სირიაში საუდის არაბეთის შესაძლო სახმელეთო ოპერაციის დეტალები

წყაროების მონაცემებით, ერ-რიადს შეუძლია დაიწყოს სამხედრო მოქმედებები საუდის არაბეთის

სამხრეთ-აღმოსავლეთში იორდანიის საზღვრის მახლობლად. ამ შემთხვევაში არ არის გამორიცხული სამეფოს მხარდაჭერა იორდანიის ძალების მხრიდან. შარშან, იტყობინებოდნენ წყაროები, იორდანიამ უკვე შესთავაზა საუდის არაბეთს განათავსოს სპეციალური დანიშნულების რაზმები თავის ტერიტორიაზე.

### ეგვიპტეში სასამართლომ 3 წლის ბავშვს მუდმივი პატიმრობა მიუსაჯა

ახლედ მანსურ კარნი დაიბადა 2012 წლის სექტემბერში, მაგრამ მისი დაბადების ოფიციალური დოკუმენტები სასამართლომ არ მიიღო და მაინც ჩართო იგი 116 ბრალდებულის სიაში, რომლებსაც სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ იმ უწესრიგობაში მონაწილეობისათვის, რომელიც 2014 წლის იანვარში მოხდა (?!).

### ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთს მისცა მონაცემები თავისი სპეციალური დანიშნულების რაზმის განთავსების შესახებ სირიაში - რომ არ დაბომბოს

ამის შესახებ პენტაგონში პრესბრიფინგზე ისაუბრა გენერალ-ლეიტენანტმა ჩარლზ ბრაუნმა, ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ცენტრალური სარდლობის მეთაურმა. სამხედრომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნა მხოლოდ კოალიციის ძალების უშიშროების მხარდაჭერისათვის, რომლებიც იმყოფებიან როგორც „ჰაერში, ისე, ამ შემთხვევაში, დედამიწაზე“.

### გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპეციალური დანიშნულების სამსახურები სწავლობენ კრემლის მიერ „დეზინფორმაციის კამპანიის“ მეთოდებს, ამტკიცებს პრესა

BND-ის დაზვერვის სამსახური და კონსტიტუციის დაცვის ფედერალური უწყება მთავრობის დავალებით ამოწმებენ, ხომ არ იყენებს რუსეთი „აქტიური ზომებისათვის“ დეზინფორმაციის მეთოდებს, რათა გავლენა იქონიოს პოლიტიკურ დებატებსა და საზოგადოებრივ აზრზე გერმანიაში, რომლის ოსტატადაც ითვლებოდა უშიშროების სამსახური, იტყობინება Suddeutsche Zeitung.

### კალიფორნიის ხელისუფლებამ შექმნა პირობები ახალი პორნობუმისთვის, ფილმების მსახიობებს ნება მისცა დიდებისათვის იმუშაონ უპრეზერვატივებოდ

პორნომსახიობებისათვის პრეზერვატივების აუცილებელი გამოყენების უფლების მისაღებლად, მუშაკთა პროფესიული უსაფრთხოების სამსახურისათვის საჭირო იყო ოთხი თანამშრომლის მხარდაჭერა. მაგრამ ამ ღონისძიებას მხარი დაუჭირა მხოლოდ სამმა კაცმა. ახლა პორნოფილმების წარმოება შტატში შეიძლება გავიდეს ახალ დონეზე.

# ჯანმრთელობას – ჯანმრთელი მიდგომა

**ცნობილია, რომ სპორტული მედიცინა აღმოცენდა და განვითარდა თეორიული და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა დისციპლინის (სპეციალობათა) საფუძველზე და სადღეისოდ იგი მედიცინის დამოუკიდებელი დარგი-დისციპლინაა და განაპირობებს როგორც დიდი სპორტის, ისე მასობრივი, ანუ გამაჯანსაღებელი სპორტის თანამედროვე მეცნიერულ დონეზე შესწავლასა და განვითარებას.**

სპორტულ მედიცინაში მუშაობა ტარდება, როგორც სპორტსმენთა ფიზიკური მომზადებისა და გავარჯიშების დონის დადგენა-დიაგნოსტიკის, ისე დაავადებულ, გადაწვრთნილ და ტრავმირებულ სპორტსმენთა მკურნალობა-რეაბილიტაციის თვალსაზრისით. სპორტული მედიცინა დღეს აღიარებულია როგორც დამოუკიდებელი პროფესია, რომელშიც მეტ-ნაკლებად, მაგრამ აუცილებლად მედიცინის ნებისმიერი სპეციალისტი უნდა იყოს გარკვეული.

საქართველოში სპორტული მედიცინის განვითარებას ყოველთვის ედგა სათავეში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (ინსტიტუტის) ადრე საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზიკური კულტურის კათედრა, რომელსაც შემდეგში რამდენჯერმე შეეცვალა სახელწოდება და სადღეისოდ სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტის სახელწოდებით არის ცნობილი (ხელმძღვანელები, პროფესორები – გიორგი მღებრიშვილი, აკაკი ზოიძე, რომანოზ სვანიშვილი და ნაირა ჭაბაშვილი.)

მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული საქართველოში სპორტული მედიცინისა და მოძრაობითი მკურნალობის განვითარების საქმეში ყოფილ თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ამავე სახელწოდების კათედრას, რომლის კურსებზე სისტემატურად ჩამოდიოდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან აღნიშნული დარგის ექიმი-სპეციალისტები (ამ კათედრას ხელმძღვანელობდნენ პროფესორები ვასილ კუნჭულია, ალექსანდრე ბალუაშვილი, დიმიტრი წვერავა). სამწუხაროდ, დღეს ეს კათედრა უკვე აღარ ფუნქციონირებს და დიპლომის შემდგომი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება სპორტულ მედიცინასა და მოძრაობით მკურნალობაში, ანუ კინეზოთერაპიაში (იმავე სამკურნალო ფიზკულტურაში) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხდება, კერძოდ, ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის დეპარტამენტში (ხელმძღვანელი, პროფესორი – მანანა რუხაძე). უდავოდ დიდი შეცდომა იყო, როდესაც დაიხურა – გაუქმდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტი. ეს უმაღლესი სასწავლებელი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, როგორც სპორტის სპეციალისტების მომზადების, სპორტის ანატომიის, სპორტის ფიზიოლოგიის, სპორტული მედიცინის, სპორტის ჰიგიენისა და კინეზოთერაპიის განვითარების საქმეში. ამ ინსტიტუტში ფუნქციონირებდა სპეციალური სპორტული მედიცინის, სამკურნალო ფიზკულტურისა და ჰიგიენის კათედრა (ხელმძღვანელები, პროფესორები პ. ჯაველიძე, შ. კინწურაშვილი, გ. ნათაძე, გ. ჩარექიშვილი, ზ. თელია, გ. იაშვილი).

დიდი მუშაობა აქვს გაწეული ყოფილი რესპუბლიკური საექიმო ფიზკულტურისა (მთავარი ექიმი კარლო არობელიძე) და ქ. თბილისის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერებს (მთავარი ექიმები, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები ზაქარია თელია და ოთარ ვირუბოვი. შემდეგ მაკა ხოფერია) და ბევრ სხვა სპეციალისტს, რომლებიც თავგამოდებით მუშაობდნენ როგორც თბილისში, ისე სოხუმსა და ბათუმში. აღსანიშნავია სპორტის სახეობათა მიხედვით, გუნდებში ექიმებისა და მასაჟისტების საქმიანობა. საქართველო სპორტულ მედიცინასა და კინეზოთერაპიაში ცნობილი იყო არა მარტო ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ ქვეყნის საზღვრებს გარეთაც.

სპორტულ მედიცინას მნიშვნელოვანი ღვაწლი შეაქვს მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადების საქმეში. არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოში ამ დარგის პირველი ექიმის ბატონ გრიგოლ მეძმარიაშვილის დამსახურება, რომელიც ჯერ კიდევ 1924 წელს ქ. თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების სისტემაში სათავეში ჩაუდგა საექიმო კონტროლის სამსახურს, ხოლო შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღანელობდა როგორც მთავარი ექიმი თბილისის ბავშვთა საექიმო-ფიზკულტურის დისპანსერს, რომელიც ითვლებოდა ერთადერთ ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციის დაწესებულებად მთელ საბჭოთა კავშირში.

სადღეისოდ ამ მუშაობაში დიდ აქტიურობას იჩენენ სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის (ხელმძღვანელი – პროფესორი ლელა მასხულია) კურსდამთავრებულებიც. განსაკუთრებული მადლობით უნდა მივმართო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორს, ოლიმპიური კომიტეტის მთავარ ექიმს ბატონ ზურაბ კახაბრიშვილს, რომელიც ბევრს აკეთებს იმისათვის, რომ პრაქტიკული სპორტული მედიცინა ფუნქციონირებდეს საქართველოში თანამედროვე დონეზე, მაგრამ მას ესაჭიროება მეტი დახმარება. ასეთივე მადლობის ღირსი ბრძანდება პროფესორი პავლე კასრაძე, ემზარ ჭუმბურიძე, მერაბ ვარჯუკაშვილი, დინამოს ექიმი დავით ხარაბაძე, მაია აბაშიძე და სხვა ბევრი სპეციალისტი. არ შეიძლება, არ აღინიშნოს საქართველოში დოპინგკონტროლის სამსახურის ფუნქციონირება. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ წინ ბევრია სამუშაო (ხელმძღვანელი – პროფესორი პავლე კასრაძე, წევრები – თემურ უკლება, თამარ სვანიშვილი).

დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აღნიშნული დეპარტამენტი ფუნქციონირებს ყოფილ მე-8 საავადმყოფოს ბაზაზე შექმნილ საუნივერსიტეტო კლინიკაში. გასაგებია, ახალ საავადმყოფოში მუშაობის სწრაფად აწყობა ძალიან ძნელია. სამწუხაროდ, ამ საავადმყოფოს ყოფილმა ხელმძღვანელობამ არასათანადო ყურადღება გამოიჩინა ჩვენი დეპარტამენტის მიმართ. ველოერგომეტრი, ურომლისოდაც სასწავლო-სამეცნიერო მუშაობა ამ დეპარტამენტში შეუძლებელია, იგი გამოვიდა მწყობრიდან და დღემდე ვერ მოხერხდა მისი შეძენა. ახლად მოსული კლინიკის დირექტორი ბატონი ირაკლი კოხრეიძე ყურადღებით მოეკიდა ჩვენს საკითხს. მან მიიჩნია, რომ ამ დეპარტამენტმა დიდი მუშაობა უნდა გასწიოს ამ კლინიკაში აღდგენითი თერაპიის – რეაბილიტაციის მიმართულებით, ჯერ კიდევ ავადმყოფის რეანიმაციის პალატაში ყოფნის დროს. ავადმყოფს კარგად უნდა ესმოდეს, რომ შესაძლებლობის მიხედვით მან უნდა გააგრძელოს რეაბილიტაცია ამავე კლინიკაში, ვინაიდან ეს მკურნალობა მას ბევრად უფრო ეფექტურად და ეკონომიურად ჩაუტარდება, ვიდრე ბინაზე რეაბილიტაცია.

**სპორტულ მედიცინას და მოძრაობით მკურნალობას მეტი ყურადღება ესაჭიროება**

უკანასკნელ წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად ამაღლდა თანამედროვე დონეზე კლინიკური მედიცინა. კეთდება ბევრი რთული ოპერაცია და აქტიური მკურნალობა უტარდებათ თერაპიული პროფილის ავადმყოფებს რეანიმაციის განყოფილებებში. სამწუხაროდ, ამავეს ვერ ვიტყვით ავადმყოფის სრულ აღდგენით მკურნალობაზე – რეაბილიტაციაზე. ავადმყოფისათვის სიცოცხლის შენარჩუნების შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, მედიკამენტურ მკურნალობასთან ერთად, ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ღონისძიებების გატარება, რაც ეკონომიკური მიზეზების გამო ვერ ტარდება. საქართველოში ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა, ავიღოთ თუგინდ ისეთი პათოლოგიები, როგორიცაა გულის კუნთის ინფარქტი, თავის ტვინის დაზიანება – ინსულტი და რთული ტრავმების შედეგები (სახსარშიდა პათოლოგია და სხვა), რომელთა დროს ავადმყოფს კატეგორიულად ესაჭიროება მწვავე პერიოდის (ოპერაციის) შემდეგ სტაციონარში კომპლექსური რეაბილიტაცია, რაც დიდ უმრავლეს შემთხვევაში საავადმყოფოებში (კლინიკებში) სადღეისოდ ჩვენში არ ხდება.

ჩვენ გვინდა, რომ ამ მაღალკვალიფიციურ კლინიკაში აღნიშნულ დეპარტამენტთან აღდგენილ იქნას თანამედროვე ფუნქციური დიაგნოსტიკის ლაბორატორია, სადაც იწარმოებს კვალიფიციურ სპორტსმენთა (ავადმყოფთა) ფიზიკური მუშაობის – უნარიანობის განსაზღვრასთან ერთად ბიომარკერების (კორტიზოლი, ამიაკი და სხვ.) გამოკვლევა ფიზიკურ დატვირთვასთან დაკავშირებით, რაც თანამედროვე სპორტულ მედიცინაში ახალი სიტყვაა.

სპორტული მედიცინა სადღეისოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში კინეზოთერაპიასთან ერთად მოითხოვს აკადემიური საათების გარკვეულად გაზრდას მედიცინის ფაკულტეტზე, იგივე უნდა გაკეთდეს სპორტულ მედიცინაში პროფილაქტიკურ და ფიზიკური მკურნალობისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე. გვახსოვდეს, რომ სადღეისოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი – პროფესორი ნაირა ჭაბაშვილი) ითვლება იმ ძირითად სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის ბაზად, სადაც უნდა წარმოებდეს სპორტული მედიცინისა და ფიზიკური რეაბილიტაციის სპეციალისტების შერჩევა-მომზადება. ამ დეპარტამენტის ბაზის თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე მოწყობა, თანდათანობით, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს განხორციელებული.

სპორტულ მედიცინაში, მეცნიერული მუშაობის შემდგომი წინსვლა გარკვეულადაა დამოკიდებული სპორტული მედიცინის ასოციაციის მუშაობაზე (ადრე ამ ასოციაციას ეწოდებოდა სპორტული მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის ასოციაცია. პრეზიდენტები გიორგი მღებრიშვილი, აკაკი ზოიძე, რომანოზ სვანიშვილი, დიმიტრი წვერავა, ზურაბ კახაბრიშვილი, ვალერი ახალკაცი). უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად შეიმჩნევა ამ ორგანიზაციის მუშაობაში წინსვლა (პრეზიდენტი ბატონი ვალერი ახალკაცი). ჩვენი სპორტული მედიცინის სპეციალისტები მოხსენებებით გამოდიან უცხოეთში სამეცნიერო ფორუმებზე.

2015 წელში თბილისში ჩატარდა რესპუბლიკური კონფერენცია, სადაც წამყვანი მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორი – კარდიოლოგი კახაბერ ჭელიძე, ვალერი ახალკაცი და სხვ. აღნიშნული კონფერენცია ჩატარდა საკმაოდ მაღალ აკადემიურ დონეზე. საინტერესოა ისიც, რომ ამ ასოციაციის ხელმძღვანელობა აპირებს საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას ლიტვის, მოლდოვეთის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების სპორტული მედიცინის მეცნიერ-სპეციალისტებისა და პრაქტიკოსი ექიმების მონაწილეობით. მიმდინარე წელს სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის კონფერენციის ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს ჩაატაროს სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის ეროვნული ასოციაციის (პრეზიდენტი – პროფესორი მანანა რუხაძე) შეკრება. დასახული ამოცანები უდავოდ მისასალმებელია, მაგრამ მათი პრაქტიკულად განხორციელება მოითხოვს შეთანხმებულ და უაღრესად მონდომებულ მუშაობას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს გამაჯანსაღებელ სპორტს, რომლის განვითარება ასევე დამოკიდებულია სპორტულ მედიცინაზე. ყველა მოსწავლეს და საბავშვო ბაღების კონტინგენტს დღის განმავლობაში უხდება აქტიური, ფიზიკური მოძრაობა, ამიტომ წელიწადში ერთხელ მათ უნდა უტარდებოდეთ ტესტირება გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური სინჯით, რაც ნათელ წარმოდგენას იძლევა გამოსაკვლევი პირის ორგანიზმის შეგუების, ანუ ადაპტაციის უნარზე ფიზიკური დატვირთვისადმი. პირადად მე მივმართე თხოვნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რათა ეს უწყება დაგვხმარებოდა, დაგვეწყო თანდათან სკოლის ექიმების მომზადება ტესტირებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სამინისტროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა (არ მინდა, მისი გვარი დავასახელო) მომწერა ე.წ. „ახსნა განმარტებითი“ ბარათი, თუ როგორ უნდა მემოქმედა, რომ განმეხორციელებინა ეს სამუშაო.

ისე როგორც ყველა დარგის მეცნიერებას, ასევე სპორტულ მედიცინას და კინეზოთერაპიას ესაჭიროება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი განვითარებისათვის ხელის შეწყობა, რასაც საქართველოში არასათანადო ყურადღება ეთმობა. საჭიროება მოითხოვს ახალი ლაბორატორიების შექმნას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრივ ქმედითი დახმარების გაწევას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყურადღებას...

სპორტული მედიცინა და კინეზოთერაპია – მოძრაობითი მკურნალობა მოითხოვს უფრო მეტ დახმარებას, ვიდრე ამას დღესა აქვს ადგილი. მათზე ბევრადაა დამოკიდებული ადამიანის როგორც გამოჯანმრთელება (ჯანმრთელობის აღდგენა-რეაბილიტაცია), ისე ფიზიკური შრომისუნარიანობის სწორად ამაღლება. სპორტულ მედიცინას სულ უფრო მეტად ეხმარება სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, დახმარებას მოვითხოვთ ჯანმრთელობის სამინისტროდანაც.

**რომანოზ სვანიშვილი,**
**საქართველოში თანამედროვე სპორტული მედიცინისა და კინეზოთერაპიის ფუძემდებელი, პროფესორი.**

## ◎ ინფორმაცია

### მესტიაში – თურქული ავიაკომპანიით

**მესტიაში „Heli-skiing“-ტურების ორგანიზებასა და ტურისტული ჯგუფების მომსახურებას თურქული კომპანია „GUNEYDOGU HAVACILIK ISLETMESIAS“ განახორციელებს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ“ დააკმაყოფილა კომპანიის განაცხადი მიმდინარე წლის მარტიდან აპრილის ჩათვლით მესტიის საკურორტო ზონაში ოპერირების განხორციელების თაობაზე.**

**ვერტმფრენების კომპანია მესტიის საკურორტო ზონაში ოპერირებას ქართულ „SkiGeorgia“ ჯგუფთან პარტნიორობით გეგმავს. ფრენები თურქული კომპანიის კუთვნილი ორი ერთეული Eurocopter AS 350 83-ის ტიპის თანამედროვე ვერტმფრენებით, ხელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში, ვიზუალური ფრენის წესებით (VFR) განხორციელდება.**

**„Heli-Skiing“-ი ექსტრემალური სპორტის სახეობაა და მოთხილამურეებისა და სნოუბორდისტებისგან დაკომპლექტებული მცირე ჯგუფების ვერტმფრენებით გაუკვალავ თოვლში გადასხმას და პროფესიონალი ინსტრუქტორების დახმარებით მათთვის თხილამურებით სრიალისა და სნოუბორდინგის ორგანიზებას გულისხმობს. სათავგადასავლო ტურიზმის მიმდევრები ტურების დაჯავშნას წინასწარ, ზამთრის სეზონის დადგომამდე ახდენენ. ავიაციის სააგენტო მიმდინარე წელს მესამე განაცხადს აკმაყოფილებს. გერმანული „HTM Helicopter Travel Munich GmbH“-ისა და ავსტრიული „Wucher Helikopter Gmbh“-ის კუთვნილი ვერტმფრენები გუდაურის საკურორტო ზონაში ოპერირებენ.**

◎ ოლიმპიური ჩემპიონები

# მზექალი მედია – ჰელსინკის ტრიუმფატორი

**საძართველოში ბევრი სახელოვანი სპორტსმენი აღიზარდა, რომლებმაც სახელი და დიდება მოუტანეს სამშობლოს, თუმცა, რჩეულთა შორის არიან რჩეულნიც, პირველებად რომ დარჩებიან მარად. ასეთი გახლდათ მზია (მედეა) ჯუღელი – პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი, რომლის გაკვალული გზებით მრავალმა ათლეტმა დიდების მწვერვალს მიაღწია.**

**ჰელსინკის ოლიმპიადის ერთ-ერთ ტრიუმფატორს, სამწუხაროდ, ამიერიდან მხოლოდ წარსულში მოვიხსენიებთ, რადგან იგი 89 წლისა 2016 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა.**

დილაუთენია კარზე დააკაკუნეს. ოთახში გურჯაანის „ჩეკას“ სამი თანამშრომელი შემოვიდა. უნდა წამოხვიდეო, უთხრეს მასპინძელს, რომელიც დაუპატიჟებელ სტუმრებს ზღურბლზე შეეგება. ქალს თვალებიდან ცრემლი გადმოსცვივდა. „ნუ გეშინია, ყველაფერი გაირკვევა და გამომიშვებენ“, – დაამშვიდა ქმარმა. იმ დღეს ამაოდ ელოდა. მეორე დილით შვილთან ერთად მიაკითხა რაიონულ განყოფილებაში. საუზმე გამოართვეს, მაგრამ მეულლის ნახვის უფლება არ დართეს, ქმრის ბარათი გადასცეს მხოლოდ, რომელზეც გაკრული ხელით ეწერა: „ცუდი არაფერი მოხდება, ბავშვს მიხედე“.

ეს იყო 1938 წლის 24 თებერვალს. მზია ჯუღელი მაშინ 12 წლის გახლდათ. იმ დღიდან მამა აღარ უნახავს.

– რვა მარტს დედა დააპატიმრეს – არც გამიგია, როგორ წაიყვანეს, რადგან არ გავულვიძებივარ. სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა შალვა ბოსტაშვილმა და მეზობლის ქალმა სონია დარაბეგოვამ რამდენიმე დღის შემდეგ სადგურზე წამიყვანეს. დედა უკვე ვაგონში იჯდა, თელავში გადაჰყავდათ. ერთმანეთს გადავეხვიეთ და ავტირდით. ჩვენი შემხედვარე ხალხიც ქვითინებდა...

რამდენიმე დღის განმავლობაში ცრემლი არ შეშრობია თვალებზე.

ობლობაში გალია ბავშვობის წლები.

და მაინც...

„ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს, ისევ იმ გზას ავირჩევდი, რაც უკვე გავიარე ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე – ბავშვობიდან და შემდეგშიც - დღემდე! ოღონდ, ყველას აშოროს ის ტკივილი და ცრემლი, რაც პატარაობიდან თან მდევდა, როგორც რეპრესირებული ოჯახის შვილს“, – იტყვის ერთ-ერთ ინტერვიუში ოლიმპიური ჩემპიონი.

რა გზა იყო ის, რომელიც სახელოვანმა ტანმოვარჯიშემ გამოიარა?!

**– ქალბატონო მზია, რთული ბავშვობა გქონდათ, ტანვარჯიშისთვის როდის მოიცალეთ?** – ვკითხე ერთხელ ოლიმპიურ ჩემპიონს, რომელთანაც სამი ათეული წლის ნაცნობობა მაკავშირებდა. არაერთხელ შევხვედრივარ მას და ჩვენი საუბრების საინტერესო ამონარიდები მინდა შემოგთავაზოთ.

– სპორტი ბავშვობიდანვე მიტაცებდა. სკოლაში სწავლისას თითქმის ყველა სახეობაში ვმონაწილეობდი რაიონულ შეჯიბრებებში. ოთხწლედი გურჯაანში დავასრულე. იქ შალვა ბოსტაშვილი მამეცადინებდა. მშობლების დაპატიმრების შემდეგ ბებიამ თბილისში წამომიყვანა და ის მზრდიდა. მე-6 რკინიგზის სკოლაში არჩილ ბაქრაძესთან დავიწყე სიარული ტანვარჯიშის სექციაზე. 1939 წელს მოსკოვში მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე რგოლებსა და ორძელზე ყველას ვაჯობე, საერთო ჩათვლაში კი მესამე ადგილზე გავედი. 1940 წელს ლენინგრადში ისევ საკავშირო პირველობაზე ვიასპარეზე, თანაც უფროსებს ვეჯიბრებოდი. იქ ორძელსა და ბჯენით ხტომებში გავიმარჯვე, მრავალჭიდში მეორე ვიყავი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში კი 1945 წლიდან ვმონაწილეობდი...

სპორტულ ტანვარჯიშში ბევრი რეკორდია აღნუსხული და ჩამონათვალში, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი მზია ჯუღელის სახელი - 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულმა ხომ ზედიზედ რვაჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, მათ შორის შვიდჯერ – ბჯენით ხტომებში, მერვედ კი – რგოლებზე ვარჯიშში. სხვადასხვა შეჯიბრებაში სულ 14 ოქროს, 9 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.



### ოლიმპზე

**– მრავალ ტურნირში წარმატებით გიასპარეზიათ. ყველაზე მნიშვნელოვნად რომელი მიგაჩნიათ?**

– ცხადია, 1952 წლის ოლიმპიადაზე მოპოვებული გამარჯვება. წინა წელს რომ შევიტყვეთ, თამაშებში უნდა გამოვსულიყავით, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ფინეთის დედაქალაქში გამგზავრებამდე ორი თვე სოჭსა და ვიბორგში ვემზადებოდით, მკაცრი შერჩევა გავიარეთ და ნაკრებში მოვხვდი. ჰელსინკიში ჩასულმა საბჭოთა დელეგაციამ უარი თქვა კაპილას ოლიმპიურ სოფელში „კაპიტალისტი სპორტსმენების“ გვერდით ცხოვრებაზე და სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად სტუდქალაქში დაბინავდა. ამის მიუხედავად, ნორმალური პირობები გვქონდა. სპორტულ ტანვარჯიშში ასპარეზობის დაწყების წინ მწვრთნელებმა ტაქტიკა შეცვალეს. ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ტაისია დემიდენკომ ყველას გასაგონად გამოაცხადა: „მზია, შენ იწყებ“. გაგვიკვირდა, რადგან ნაკრებში ერთ-ერთ ლიდერად ვითვლებოდი, შეჯიბრებას კი, ჩვეულებრივ, სუსტები იწყებდნენ. თურმე ასე სპეციალურად მოიქცნენ მსაჯებსა და მეტოქეებზე ეფექტის მოსახდენად. საბედნიეროდ, იმედები გავამართლე და ბჯენით ხტომებში 9,7 შეფასება მივიღე, რაც მერე არბიტრებისთვის ორიენტირი გახდა. ბედნიერი ვარ, რომ ფინეთის დედაქალაქში ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი, „საპატიო ნიშნის ორდენით“ დამაჯილდოვეს და სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებაც მომანიჭეს. მაშინ საბჭოთა გუნდში ჩემთან ერთად გამოდიოდნენ მარია გოროხოვსკაია, გალინა ურბანოვიჩი, გალინა შამრაი, ეკატერინა კალინჩუკი, ნინა ბოჩაროვა, პოლინა დანილოვა და გალინა მინაიჩევა, რომელიც შემდეგ ქართველების რძალი – ცნობილი ტანმოვარჯიშე რეზო შარაბიძის მეუღლე გახდა. შეჯიბრების მეორე დღეს რგოლებით ჯგუფურ ვარჯიშში მეორე ადგილი დავიკავეთ. ის ოლიმპიადა იმითაც არის აღსანიშნავი, რომ საქართველოს წარგზავნილებმა ჰელსინკიდან სამი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი ჩამოვიტანეთ. 1952 წლის ოლიმპიადის ჩემპიონები გახდნენ მოჭიდავე დავით ციმაკურიძე და ძალოსანი რაფაელ ჩიმიშკიანი, მეორე ადგილებზე გავიდნენ კალათბურთელები – ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია, მძლეოსანი ლევან სანაძე, ხოლო ბრინჯაოს მედლები მძლეოსნებს – ნადეჟდა დვალიშვილსა და ნინო დუმბაძეს ხვდათ.

### დედისკენ მიმავალი გზა

**– თქვენ წლების განმავლობაში საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად გადიოდით საწვრთნელ შეკრებას, იმარჯვებდით საკავშირო ტურნირებზე, უცხოეთში გამგზავრება კი 1951 წლამდე ვერ შეძელით...**

– მეორე მსოფლიო ომამდე მშობლები რომ დამიპატიმრეს, რეპრესირებულთა შვილს საზღვარგარეთ ვინ გამიშვებდა. არაერთხელ მივმართე წერილობით სათანადო ორგანოებს, რომ დამხმარებოდნენ, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. 1940 წელს ლენინგრადიდან მოსკოვის გამოვლით გამოვემგზავრეთ. საბჭოეთის დედაქალაქში ჩვენი დელეგაცია ორი დღე დარჩა. გიორგი მერკვილაძემ და არჩილ ბაქრაძემ სასტუმროში განცხადება დამაწერინეს, რომელშიც ქვეყნის მთავარ პროკურორთან შეხვედრას ვითხოვდი. მისაღებში წერილი რომ გადავეცით, კომენდატურის მორიგემ ირონიულად ჩაიცინა და უარი გვითხრა. ბატონი არჩილი გაბრაზდა და სარკმელთან მივიდა. მაგიდაზე გადაშლილი „პრავდა“ შენიშნა. „ეს გაზეთი დღევანდელია, ხომ?“ – ჰკითხა ხმამაღლა ჩინოვნიკს. „დიახ“, – უგულოდ მიუგო რუსის მოხელემ. „გადაშალეთ და ნახეთ, პროკურორთან შეხვედრას ის გოგონა ითხოვს, რომლის სურათიც ამ გაზეთშია დაბეჭდილი“. ჩინოვნიკი შეცბა, გაზეთს დახედა, მერე ვიღაცას უხმო. ის გაგვიძღვა პროკურორთან, რომელიც ჯერ სპორტზე მელაპარაკა, მერე დედას მისამართი მომცა და მიმოწერის უფლება დამრთო. პირველი წერილი მე გავუგზავნე დედას. ამ დათბობის მიუხედავად, 1951 წლამდე უცხოეთში გამგზავრების უფლებას არ მაძლევდნენ. იმ წელსაც, ჩვეულებრივ, საკავშირო ნაკრებთან ერთად გავიარე წვრთნა. ჩემი თანაგუნდელები ბერლინში სტუდენტთა XI მსოფლიო თამაშებზე გაემგზავრნენ, მე კი, ტრადიციულად, თვითმფრინავით შინ გამომისტუმრეს. ის იყო, სახლის კარი შევაღე, რომ ფეხდაფეხ საქართველოს სპორტკომიტეტის თანამშრომელი მომყვა – სასწრაფოდ მოსკოვში გიბარებენო, მითხრა და საბჭოეთის დედაქალაქში დასაბრუნებელი თვითმფრინავის ბილეთი მომაჩჩა. იმავე საღამოს ისევ მოსკოვში ამოვყავი თავი, მეორე დილით კი ბერლინში გადავფრინდით და სპორტის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად რკინიგზის სადგურში დავხვდი ჩვენს გუნდს. ჩემს დანახვაზე გოგონების სიხარულს მკითხა, რას ისურვებდიო. ერთი დედა მანახა, მეტი არაფერი მინდა-მეთქი, ვუპასუხე. მან ვიღაც ჩინოსანი გამოიძახა და ჩემი თავი ჩააბარა. მეორე დღეს მივლინება გამიფორმეს და ვოლოგდაში გამამგზავრეს. იქ 8 წლის უნახავ დედას შევხვდი. რომ დამინახა, გონება დაკარგა, მერე მე გავხდი მოსასულიერებელი. დიდხანს ვეფერებოდით ერთმანეთს, მთელი ბანაკი შემოგვცქეროდა და ჩვენთან ერთად იცრემლებოდა. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი წუთები.

### რაჯ კაპურის საჩუქარი

**– საინტერესო თავგადასავლებიდან რომელს გაიხსენებდით?**

– ოლიმპიური თამაშების შემდეგ ინდოეთში გავემგზავრეთ საჩვენებელი შეჯიბრებების გასამართავად. ბომბეიში ჩასულებს ცნობილმა კინომსახიობმა და რეჟისორმა რაჯ კაპურმა გვიმასპინძლა. აღფრთოვანებული დარჩა ჩვენი ოსტატობით და ასპარეზობის შემდეგ თავის მამულში მიგვიწვია. ეზოში პატარა ხელოვნური ტბა ჰქონდა, რომელშიც ნიანგები ბინადრობდნენ. ერთი დატოტვილი ქოქოსის ხე ზედ ტბას გადაჰყურებდა. მასპინძელმა შეგვაგულიანა – იმ ხიდან ნაყოფს თუ მოწყვეტთ, ჯილდოს ვკისრულობო; რადგანაც ტოტი ზედ წყლის თავზე იყო, ყველას ნიანგის შეეშინდა. ბავშვობაში მიჩვეული ვიყავი ხეებზე ცოცვას, ამიტომ გავბედე ქოქოსზე ასვლა. პირობა რომ შევასრულე, აღტაცებულმა რაჯ კაპურმა სპილოს ძვლის გულსაბამი მაჩუქა. ეს ამბავი მეორე დღეს იქაურმა გაზეთებმა დაბეჭდეს.

**– გული თუ დაგწყვეტიათ რამეზე?**

– 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშებისთვის მონდომებით ვემზადებოდით. გამგზავრების წინ ვარჯიშზე ფეხი ვიღრძე და შინ დავრჩი – ოთხი წლის თავდაუზოგავი შრომა წყალში ჩამეყარა...

ქალბატონმა მზიამ აქტიურ სპორტს 1960 წელს დაანება თავი, თუმცა, სიცოცხლის ბოლომდე ბავშვობისდროინდელი გატაცების ერთგული დარჩა. როგორც წლების წინათ ტანვარჯიშის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რობერტ ბუშმა თქვა, „ის არ დასჯერდა მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს და მთელი ცხოვრება ტანვარჯიშს, მის პოპულარობასა და განვითარებას მიუძღვნა. მის მიერ გაკვალულ გზაზე და მისივე უშუალო მონაწილეობით ტანმოვარჯიშეთა თაობები აღიზარდნენ საქართველოში, რომელთა შორის არიან ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები“.

„ქალთა ტანვარჯიში ჩემს ცხოვრებაში მზიას სიჩაუქით შემოიჭრა და სამუდამოდ დავრჩი მისი თაყვანისმცემელი. ამ სიტყვებში თვით მზიასაც ვგულისხმობ... არაერთგზის დავრწმუნდი, რომ ეს ქალბატონი სულაც არ ყოფილა ისე უკარება, როგორც წარმომედგინა. ჩემთვის ასე აღმოვაჩინე მეორე მზია – ბრწყინვალე ადამიანი, უბრალო, სიყვარულითა და სითბოთი აღსავსე, თავისი ქვეყნისა და ხალხის სამაგალითო მსახური“, – ეს სიტყვები სიმაღლეზე ხტომაში რომის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულ რობერტ შავლაყაძეს ეკუთვნის.

**დიახ, ასეთი გახლდათ ოლიმპიური ჩემპიონი მზია ჯუღელი – უბრალო, დღემუდამ მოფუსფუსე, სიკეთითა და სათნოებით აღსავსე, საკუთარი მიწა-წყლის მოყვარული პიროვნება, რომელმაც 40 დღის წინათ საუკუნო სასუფეველი დაიმკვიდრა და გზად ახლობელთა და თაყვანისმცემელთა ცრემლი გაიყოლა...**

**ვაჟა დანელია**

◎ სანთელი

# ქართლოს ჭუმბურიძე

**ერთი ახლობელი ბავშვობიდან ჩამჩიჩინებდა – ეცადე, მეტისმეტად არავის დაუახლოვდე, თორემ მისი დაკარგვა გულს გაგიპობსო.**

**მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ ამ შეგონებაში ჭეშმარიტების მარცვალი არსებობს, თუმცა, გეკითხებით: ქართლოს ჭუმბურიძისნაირ ზნეკეთილ პიროვნებასთან ურთიერთობაში როგორ უნდა დაგეცვა დისტანცია?**

**ჩვენ ერთმანეთი გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გავიცანით, როცა ძმასთან კახა ჭუმბურიძესთან ერთად კეთილი ადამიანების თანადგომით აფხაზეთის ომში დაღუპული მეგობრის ზაზა ბენდელიანის მემორიალს ჩაუყარა საფუძველი.**

**ისინი ფრონტის ხაზზეც ერთად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ და, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი გულისყურით მოეკიდებოდა „ბენდელას თასის“ გათამაშების საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას. ის კი არა, გათოშილ დარბაზში უცებ „ჩეკუშკას“ დააძრობდა ჯიბიდან და: – აბა, გათბით ბიჭებო, ისე შინაურულად მოგვმართავდა, უარის თქმა მოგერიდებოდა. ვითომ წვრილმანია?!**

**იგი შემდგომაც სპორტული ცხოვრების მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებდა და არავის გაგვკვირვებია, დიდი ნდობა რომ გამოუცხადეს და ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური მომზადების ცენტრის თავკაცად დანიშნეს.**

**ალბათ, ბედისწერა იყო, მომავალ თაობაზე ზრუნვით გამორჩეული ვაჟკაცი მესამე შვილის დაბადებას რომ ვერ მოესწრო და 2014 წლის 17 დეკემბერს, ბარბარობის ბრწყინვალე რელიგიურ დღესასწაულზე, უკვდავების ბინადარი გახდა.**

**22 თებერვალს მისთვის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე უნდა მიგველოცა...**

**გია პლატონიშვილი**

◎ სულიერება

# მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკე



**21 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს მეზვერეს და ფარისეველს... დიდი მარხვის დაწყებამდე სამი შვიდეულით ადრე ხდება ეს მოხსენიება.**

დღევანდელი სახელი კვირა დღემ მიიღო იმიტომ, რომ წირვაზე იკითხება სახარება მეზვერისა და ფარისევლის შესახებ.

საგულისხმოა, რომ სახარების ამ მონაკვეთში მოთხრობილია მაცხოვრის იგავი: ტაძარში შევიდა 2 კაცი, ერთი – მეზვერე, მეორე ფარისეველი. ფარისეველი წინ წარდგა და ასე ლოცულობდა თავისთვის: **„ღმერთო, გმადლობ შენ, რადგან არა ვარ სხვა ადამიანებივით მტაცებელი, ცრუ და მემრუშე, როგორიცაა მაგალითად, ეს მეზვერე, არამედ, წესისამებრ ვმარხულობ, მთელი ჩემი შემოსავლის მეათედს გწირავ...“** ასე ამპარტავნულად ლოცულობდა ფარისეველი.

მეზვერე კი, რომელსაც თავისი ცოდვები შეეგნო, შორს იდგა, ვერ ბედავდა თვალის ზევით აპყრობასაც კი, არამედ იცემდა მკერდში და ამბობდა: **„ღმერთო, განეწმიდე მე ცოდვილი“...**

ცნობილია, რომ უფლის წინაშე მონანული მეზვერე უფრო გამართლებული გამოვიდა, ვიდრე მოჩვენებითი კეთილმსახურებით მოამაყე ქედმაღალი ფარისეველი.

მეზვერის და ფარისევლის იგავის განმარტებით, ვინც აიმაღლებს თავის თავს, ის დამდაბლდება, ხოლო ვინც დაიმდაბლებს თავის თავს, ის ამაღლდება.

**გიული ლიპარტია**

◎ დედაქალაქი

# „ალო, მერიაა? როდის მოვა ავტობუსი?“

**ერთ მშვენიერ მოცალეობის ჟამს, თავი რომ შეგვექცია, ვითომ ხუმრობით, მეგობრებმა დავითვალეთ, რომ თუ საქართველოში სახელმწიფო მოხელეთა ხელფასებსა და დანამატებს გავაორმაგებთ, ქვეყანაში საშუალო ხელფასი ერთბაშად 12,3 პროცენტით გაიზრდება!**

**ამ (ანუ ხალხის მსახურთა) კატეგორიაში, ბუნებრივია, თბილისის მერიისა და რაიონების გამგებლობების თანამშრომლებიც შედიან, ამდენად, გასაკვირი**

**არ უნდა იყოს, რომ დროდადრო მათი მუშაობა დედაქალაქსაც სასიკეთოდ ეტყობა, მაგრამ, ხშირად, არასაკმარისად, ამიტომაც გასამრჯელოსაც ძველებურს აკმარებენ.**

ამას, ცხადია, იუმორით ვამბობ, თუმცა კი გარკვეული ირონია, ვფიქრობ, საჭირო იმიტომაა, რომ ძალიან ხშირად კარგი, უდავოდ სასიკეთო საქმე, მოხელეებს ბოლომდე არ მიჰყავთ, ანდა კონტრაქტორები საქმეს იმდენად უგერგილოდ და უხარისხოდ აკეთებენ, რომ ყველაფერს ლაზათი ეკარგება.

ამ კერძო შემთხვევაში ლაპარაკია ისეთ დიდებულ პროექტზე, როგორიცაა ავტობუსების გაჩერებებზე საინფორმაციო სტენდების დაყენება, რომელმაც თბილისელთა და დედაქალაქის სტუმართა დიდი მოწონება სავსებით სამართლიანად დაიმსახურა. ერთი რომ მეტად მოხერხებულია იმის ცოდნა, თუ რამდენ წუთში მოვა სასურველი, ანდა, ვთქვათ, სხვა მეტ-ნაკლებად მოსახერხებელი მარშრუტის ავტობუსი, როგორია ჰაერის ტემპერატურა, მეორე კი, ვფიქრობ, არანაკლებ საგულისხმო მომენტი ისაა, რომ ტაბლოებზე მითითებული ცხელი ხაზის ნომერზე დარეკვით სახლიდან გაუსვლელად შეიძლება იმის გაგება, კონკრეტულ გაჩერებაზე ამა თუ იმ ნომერი მარშრუტის ავტობუსი რა დროს მოვა, რაც ძალიან მოსახერხებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა გარკვეული სვლაგეზის საზოგადოებრივი ტრანსპორტი გრაფიკით დიდი ინტერვალით მოძრაობს.

ყველაფერი ეს, ცხადია, თბილისელთათვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ ასე დაწვრილებით ამის თაობაზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ეს საინფორმაციო ტაბლოები, სრულიად გაუგებარი მიზეზით, ზოგიერთ ადგილას საჭიროზე მეტიცაა(!), ზოგ უბანში კი (ქალაქის ცენტრში!)... საერთოდ არ არის(?!).

კონკრეტული მაგალითები გნებავთ? – ნაძალადევის რაიონის ზღვის უბნის დასახლების ჩარგლის ქუჩაზე ერთ პატარა მონაკვეთზე, სადაც მხოლოდ სამი კერძო სახლი და ერთი პატარა კოლეჯია, სამ მოთხოვნით გაჩერებაზე ტაბლოებია დამონტაჟებული. მერედა, ცუდიაო, იტყვის მავანი. ცუდი როგორაა, ბატონო, ძვირფასია, მაგრამ, იქნებ ვინმემ გვიპასუხოს, მაშ, რატომ არ არის ასეთი საინფორმაციო ტაბლოები ორბელიანის მოედანზე, აღმაშენებლის პროსპექტზე, მარჯანიშვილის ქუჩასა და მოედანზე, ანდა რატომაა უმოქმედო ტაბლო „დეზერტირების ბაზრის“ მუდამ ხალხმრავალი ავტობუსების გაჩერებაზე? რა დააშავა დედაქალაქის შუაგულიდან მეტროს სადგურ „თავისუფლების მოედნის“ გაჩერებიდან აღმოსავლეთის უბნებისკენ მოძრავმა ხალხმა, რომელიც ამ საინფორმაციო მომსახურებას მოკლებულია?

წეღან „დეზერტირების ბაზრის“ წინ ავტობუსებზე „მკვდარი“ ტაბლო ვახსენე და ისიც მინდა გიამბოთ, თუ რა გვითხრა წინამდებარე მასალის მომზადებისას ავტობუსის მომლოდინე ერთმა დარბაისელმა მამაკაცმა: **„ოჯახის წევრებიდან ბაზარში თითქმის სულ მე დავდივარ, დიდუბე-ნაძალადევის შემაერთებელ თორნიკე ერისთავის ქუჩაზე ვცხოვრობ, ამიტომაც ამ მიმართულების ტრანსპორტი მაწყობს. ზოგჯერ, სურსათით დატვირთულს, კარგა ხანს მიწევს ლოდინი, საჭირო ნომერი ავტობუსის მოსვლამდე ხშირად სული ლამის დამელიოს ხოლმე. არაერთხელ მივმართე მერიას, საინფორმაციო ტაბლო იქნებ აქაც დადგათ-მეთქი, რო-**

**გორც იქნა, ველირსეთ, მაგრამ, რად გინდა – ორი თვეა დგას უმოქმედოდ... განა ეს საქმეა?“**

ძნელი საქმე ნამდვილად არ არის და იქნებ სიკეთეს „მარილიც მოაყარონ“ მათ, ვისაც ამის კეთება ყოველგვარი შეგონებისა და ხელფას-დანამატის გაუორმაგებლადაც ეკუთვნით?

**ოთარ ტურაბელიძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

სულთათანა

# სერგო მაღლაფერიძე

89 წლის ასაკში გარდაიცვალა უხუცესი ქუთაისელი კალმოსანი, მწერალი და პრესის დაუღლელი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი **სერგო მაღლაფერიძე.**

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე იგი მუდამ რუდუნებით ემსახურებოდა ქართულ სიტყვას. 1949-1992 წლებში მოღვაწეობდა გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციაში, სადაც განვლო ხანგრძლივი პროფესიული გზა რედაქტორის თანამდებობამდე. შეთავსებით იყო რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების („ნიანგი“, „დროშა“, „სიმართლე“) კორესპონდენტი იმერეთის მხარეში; სხვადასხვა დროს რედაქტორობდა გაზეთებს: „ოქროს საწმისი“, „პეტრიწონელი“, „ლემი“, „მონადირე“, გამოქვეყნებული აქვს ათამდე წიგნი, მათ შორის, იუმორისტული მოთხრობებისა და ფელეტონების კრებულები: „ბუმერანგი“, „თემიდას ცრემლები“, „რატომ დავწვი ადიდასი“, ბიოგრაფიული წიგნები ცნობილ ქუთაისელ პედაგოგ ნიკო მეფისაშვილზე, რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტებზე გივი მეფისაშვილსა და დუდე გედენიძეზე...

სერგო მაღლაფერიძემ ჟურნალისტიკაში მოსვლამდე ქვემო სვანეთში პედაგოგადაც იმუშავა და სწორედ იქიდან დაიწყო ახალგაზრდა თაობებთან მისი გულწრფელი, თბილი და შემოქმედებითი ურთიერთობა. ათეული წლების მანძილზე მან არაერთ ახალგაზრდა მწერალსა და ჟურნალისტს დაულოცა გზა გაზეთ „ქუთაისის“ ფურცლებზე, შემდეგაც მუდამ იყო მათი დიდი მასწავლებელი და გულშემატკივარი. სიტყვასთან დამოკიდებულებაში თავად იძლეოდა პროფესიონალიზმის საუკეთესო მაგალითს, როგორც ბრწყინვალე ფელეტონისტი და კალმის ოსტატი. მან ღრმა სიბერემდე შეინარჩუნა თავისი დიდი სიყვარული პროფესიისადმი, მუდამ გულისყურით, ინტერესით ადევნებდა თვალყურს მედიის ახალ ტენდენციებს, ჟურნალისტიკაში ახალი სახელებისა და თემების წარმოჩენას.

წავიდა ჩვენგან დიდი პროფესიონალი და მასწავლებელი, რომელმაც კეთილ მოგონებებთან ერთად იმის საუკეთესო მაგალითიც დაგვიტოვა, თუ როგორ უნდა ემსახურო შენს მშობლიურ ქალაქსა და ქვეყანას მართალი კალმით.

**გაზეთ „ქუთაისის“ რედაქციის ყოფილი თანამშრომლები**

**მანანა დანგაძე, ვაჟა აზარაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი**

**პეტრე მერაბიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, გია მახარაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ქართული ტექნიკური ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლის, სახელოვანი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის**

**აგული სოხაძის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახსა და ახლობლებს.**

**ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ ვეტერანები რესან კონცელიძე, ჯაბა კუბლაშვილი, გრიგოლ შონია, გურამ გალოგრე, მურმან შელია, ზვიად კოვზირიძე, გურამ სვანიძე, რიჩარდ ჯაში, თამაზ ჯანუაშვილი, ბესო ჭიჭინაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან კლუბის წევრის, უახლოესი მეგობრის, ღირსეული პიროვნების**

**აგული სოხაძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.**

◎ ინფორმაცია

## ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ... ეს საქმეც მოწესრიგდება

**უცხოეთიდან** საქართველოს მოქალაქეების გადმოსვენების საკითხს საგარეო უწყება მთავრობის სხდომაზე გატანის გარეშე გადაწყვეტს. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

გიორგი კვირიკაშვილის გადაწყვეტილებით, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში, გადმოსვენების ხარჯებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას საგარეო საქმეთა სამინისტრო მიიღებს.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, გადმოსვენების ხარჯებთან დაკავშირებით გამარტივებული წესი უნდა მოქმედებდეს.

## მარაო, მახვილი, ქოლგა, მაკრატელი

**ერთმანეთის მეზობლად განლაგებული ჩინეთის დანების, მახვილებისა და მაკრატლების, ასევე მარაოებისა და კიდევ ქოლგების სამი მუზეუმი, ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ჰანჯოუს სიამაყეა.**

მარაოები, ჩაი „ლუნძინი“ და აბრეშუმი „ჰანჯოუს სამ ძვირფასეულობად“ ითვლება. იქაური მარაოები მთელ მსოფლიოშია ცნობილი, თუმცა კი მათში ყველაზე გამორჩეულად შავი ქაღალდის მარაოა მიჩნეული. მისი დამზადება 86 ეტაპადაა დაყოფილი: ქაღალდისთვის თუთის ბოჭკოს იყენებენ, შავ ფერს ხის ნახშირის ფხვნილისა და დადუღებული ხურმის წვენი აძლევს, მისი ჩონჩხისთვის ბამბუკის ერთ-ერთ ნაირსახეობას — რაპისს იყენებენ, რომელიც იუნან-გუიჯოუს ტყეში იზრდება. შავი ქაღალდის მარაო, უმაღლესი წოდების დიდგვაროვანთა ჩინელებშიც კი, ერთგვარი სტატუსის ნიშანი იყო.

„სიჰუს“ მარკის აბრეშუმის მარაო ძალიან ძვირი ღირს, თანაც მეტად დიდი იშვიათობაა, რომლის შეძენა ნებისმიერი კოლექციონერისთვის უდიდესი ბედნიერებაა. ამ უნიკალურ ნაკეთობას ბამბუკისგან, უმაღლესი ხარისხის უთხელესი, მკვრივი და გამძლე აბრეშუმისაგან, მაქმანისა და დაზეთილი ქაღალდისგან აკეთებენ, თავად ტექნოლოგიური პროცესი კი 18 ეტაპისგან შედგება. აქაც მხოლოდ გარკვეულ ადგილებში გაზრდილ ბამბუკს იყენებენ, თანაც მას მხოლოდ წლის გარკვეულ დროს ჭრიან და დადგენილი ასაკის ღეროს სიმსხოსა და მუხლების ოდენობისდა მიხედვით არჩევენ.

მეომარ სამეფოთა, ასევე გაზაფხულებისა და შემოდგომების ეპოქების (ჩ.წ.ა. 770-221 წ.წ.) ბრინჯაოს მახვილები „ძიანი“, ამ იარაღის გამორჩეულ ნიმუშებადაა მიჩნეული. საქმე ისაა, რომ კომბინირებულ მჭრელ პირსა და თავად მახვილს კალის არაერთნაირი შემცველობა აქვთ. ასეთი მახვილი თან მაგარია, თან რბილი.

მაკრატელი „ჯანსიაციუანი“ ცინის დინასტიის იმპერატორის კანსის მმართველობის დროს შეიქმნა (1622-1723 წ.წ.), მისმა გამომგონებელმა ჯან ძიასიმ პირველმა გამოიყენა რაფინირებული ფოლადი. ის მაკრატელი იმდენად ფასობდა, რომ ჩინელებში მეგობრებისთვის მირთმეულ ძვირფას საჩუქრად ითვლებოდა, ქალიშვილებს კი მზითევში ატანდნენ.

## ზომიერების ოქროს შუალედი

**რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალისტებმა ქვეყანაში მკვლელობათა უმეტესი ნაწილის მიზეზად ალკოჰოლი დაასახელეს. არსებული მონაცემებით, ძალადობრივი სიკვდილის შემთხვევათა ორი მესამედი სპირტიანი სასმელების მიღებას უკავშირდება.**

— ალკოჰოლის ჭარბად მოხმარება ბევრში აგრესიულობის დონის ზრდას და საკუთარ საქციელზე კონტროლის დაქვეითებას იწ-

ვევს, — ამბობს სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრ „ვოზროჟდენიეს“ ხელმძღვანელი, ექიმი-ნარკოლოგი იური ვიალბა, — ალკოჰოლის ზემოქმედებით ძალადობრივ ქმედებებს უფრო ხშირად ისინი სჩადიან, ვისაც თრობის პათოლოგიური ფორმა უვითარდება. ისინი უაღრესად აგრესიულად იქცევიან, საკუთარ მოქმედებებს ჯეროვნად ვერ აფასებენ, ნერვებს ვერ თოკავენ, შემდგომ კი აღარაფერი ახსოვთ.

ყველაზე უფრო ინტენსიურად ალკოჰოლს 20-40 წლის ასაკის ხალხი მოიხმარს, ამიტომაცაა, რომ ზომაგადაცილებული სიმთვრალის მიზეზით მომხდარ კრიმინალურ შემთხვევათა უმრავლესობაში სწორედ ისინი ფიგურირებენ.

## თამაში წესების გარეშე

**ამერიკის შეერთებული შტატების დიუკის უნივერსიტეტის სპეციალისტთა მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად გაირკვა, რომ 10-დან 16 წლამდე მოზარდები ხშირად უფროსებზე გაცილებით რაციონალურნი არიან.**

გამოსაცდელებს მოვლენათა განვითარების სამი შესაძლო ვარიანტი შესთავაზეს და მათ შორის საუკეთესოს არჩევა სთხოვეს. თითოეული ვარიანტი შედეგთა ნაკრებს მოიცავდა, რომელსაც ფულის გარკვეული თანხის მოგება ან წაგება მოჰყვებოდა. ტესტის უფროსი მონაწილეები ვარიანტს პოტენციური თანხის მოგება-წაგების უგულებელყოფით არჩევდნენ. მოზარდები კი პოტენციური მოგებისა თუ წაგების სიდიდეს აანალიზებდნენ და ნაკლები წაგების შემცველ სცენარს ირჩევდნენ. ამის გარდა, ისინი საბოლოო შედეგის მისაღებად უსარგებლო ინფორმაციას უგულებელყოფენ და თითოეული ვარიანტის ანალიზს ნაკლებ დროს ანდომებდნენ.

ტესტირების შედეგებს მეცნიერები იმით ხსნიან, რომ მოზარდები, ჩვეულებრივ, ნაკლებად მისდევენ მკაცრ დოგმებსა და კანონებს. სწორედ ამიტომაცაა, რომ მათი გადაწყვეტილებები ხშირად უფროსებისაზე გაცილებით რაციონალურია.

## დილის 9 საათი — „წამების დრო“?

**ინგლისელი მედიკოსები ირწმუნებიან, რომ დილის 10 საათამდე შრომის დაწყება სასურველი არ არის. ამდენად სამუშაო დღის 9 საათზე დაწყება წამების ტოლფასია.**

— ბიორითმების თეორიის გაუქმება არც ინგლისელ, არც სხვა არავის, რაგინდ განსწავლული მედიკოსი იყოს, არ შეუძლიათ, — ამბობს რუსეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის პროფესორი ალექსანდრე კარაბინენკო. — ადამიანის ინდივიდუალური ბიორითმების შესაბამისად, ზოგნი მუშაობას დილიდანვე ხალისით იწყებენ, სხვები — დაახლოებით შუადღისთვის. ამდენად, სამუშაო დღის 9 საათზე დაწყება მომუშავეთა ამ ორ ჯგუფს შორის ერთგვარი კომპრომისია. ამიტომაცაა, რომ არც „ბუებისთვის“, არც „ტროოლებისთვის“ ეს დრო „წამება“ არანაირად არ არის.

## სიმართლე — ხუმრობით

**ერთ იტალიურ კაფეში პლაკატია გამოკრული, სადაც ძალიან უბრალოდ წერია:** იესო ქრისტე ებრაელია, შენი მანქანა გერმანულია, შენი ტელევიზორი იაპონურია, შენი ფული ჯიბეში რომ გიდევს, ამერიკულია, დემოკრატია, რომლის პირობებშიც ცხოვრობ, ბერძნულია, ყავა, რომელსაც სვამ, ბრაზილიურია, სანაპირო, სადაც შვებულებას ატარებ, თურქულია, რიცხვები, რომლებსაც იყენებ, არაბულია, ასოები კირილიცაა. რატომ არ შეუძლია შენს მეზობელს, რომ სხვა ეროვნებისა იყოს?

**მიხეილ ჟვანეცკი**

### ◎ ცინცხალი ანეკდოტები

— ალო, ეს სახანძროა?
— დიახ.
— აქ ექიმი და პოლიციელი ჩხუბობენ — არც ვიცი, სად და ვისთან დავრეკო...

* * *

— ოფიციანტო, ახლა კი ნამდვილად ვხვდები, რომ დრო მართლაც ფულია.
— რატომ მეუბნებით ამას?
— ანგარიშისთვის დღევანდელი რიცხვიც მიგიმატებიათ.

* * *

**დოლარი** გამყარდა, ფასებმა იმატა. დოლარის კურსი შემცირდა, მაგრამ არც ერთ ნაძირალას ფასები არ შეუმცირებია. ესე იგი მთავარი დამნაშავენი დოლარი კი არა, ნაძირალები არიან.

* * *

**გუშინ** როგორ მიხვედი სახლში?
— მთვრალი ვიყავი. მირჩიეს, რომ მანქანით არ წავსულიყავი სახლში. გადავწყვიტე, ტროლეიბუსით მემგზავრა. ბოლომდე მშვიდობიანად და უვნებლად ჩავედი. ეს მართლაც საკვირველია, რადგან აქამდე ტროლეიბუსის საჭეს არასოდეს არ მივჯდომივარ.

* * *

— ვერ გავიგე, რით არის ეს ხალხი უკმაყოფილო. სუფი შესანიშნავია, — ამბობს რესტორნის ადმინისტრატორი.
— ისინი უკმაყოფილონი არც იქნებოდნენ, მზარეულს რომ ეთქვა, ეს სუფიაო. ის კი მიიჩნევს, რომ ეს ყავაა.

**გამოიწერეთ:**
**6 თვით — 60 ლარი,**
**1 წლით — 120 ლარი.**
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

*გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!*